

საქართველო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საორთული გაზეთი

ორშაბათი 4 ოქტომბერი 2004 №230 (2251)

ფასი 50 თეთრი



რეალი კარლოსის თავივით გაკოტრდა ახოზიაშვილი რანგინას გოლით გაეცნო

ერთი დღეც და, იმ ოთხი გუნდის ვინაობაც გვეცოდინება, თბილისის „დინამოს“ მეტოქეობას რომ გაუნევენ უეფას თასის ჯგუფში. იქამდე კი ძველებურად იმ გუნდებისა ვთქვათ, ევროპული ფეხბურთის ბოძოლები რომ არიან, უფრო დიდ ევროთასზე თამაშობენ და რომელთაც ქართული კლუბი ჯერ ვერ შეხვდება.

გასაოცარია და არც არის გასაოცარი „არსენალის“ გამარჯვებები. საარაკო წაუგებელი სერია „მეთოფეებმა“ ამ უქმეებზე 48-მდე გაზარდეს. ამის ფონზე კი მეტად მოკრძალებულად გამოიყურება პრემიერლიგის უტიტულოვანესი კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედი“, რომელსაც კრულვად მოვლენია „მიდლსბრო“. ბოროტელები ვისთანაც ვინდა დამარცხდებიან, მაგრამ წესად აქვთ, „მანჩესტერი“ გაამწარონ. ავერ, ორი წელია, „მანჩესტერი“ ვერ უგებს „ბოროს“.

„რეალი“ კი, მგონი, ველარავის უგებს და აკი ხშირადაც გვინევენ თქმა, „რეალი“ ისევ დამარ-

ცხდაო. ეს „ისევ დამარცხება“ ძალიან დამამცირებელი უნდა იყოს მადრიდელთათვის. ამ ჯერზე „რეალი“ შინ წაავო „დეპორტივოსთან“.

„რეალის“ იარაზე მარილის წაყრასავითაა „ბარსელონას“ გამარჯვებები. „ბარსას“ შემჩერებელი არავინ ჩანს და გუშინ პრიმერადივიზიონის ლიდერობაც ჩაიგდო ხელში.

დიდებული სანახავი გამოდგა „რომასა“ და „ინტერის“ შებმაც. ბოლო წუთამდე ვერ მიხედებოდი, ვისკენ გადაიხრებოდა ბედის სასწორი. საბოლოოდ, მათ თითო ქულა აიღეს, თუმცა საამისოდ სამ-სამი გოლის ვატანა მოუხდათ.

და, ცხადია, ქართველები.

კახა კალაძე ისევ დაუბრუნდა „მილანის“ სასტარტო შემადგენლობას და „რეჯინასთან“ 90 წუთი ითამაშა; ახალი მწვრთნელის, რალფ რანგინკის ხელში კი ლევან კობიაშვილმა პირველი ბუნდესლიგური გოლი გაიტანა „შალკეში“ — აქამდე მას მხოლოდ სათასო და საევროთასო გოლები გაეტანა.

ას ხომ წრეა

ტორპედო	9	6	3	0	15:3	21
დინამო	9	6	2	1	23:7	20
ბათუმი	9	5	2	2	15:6	17
თბილისი	9	5	2	2	19:12	17
ლოკომოტივი	9	4	4	1	14:4	16
ვიტ ჯორჯია	9	4	2	3	17:13	14
სიონი	9	2	1	6	9:25	7
ჯანსუფი	9	2	0	7	6:24	6
დილა	9	1	1	7	6:17	4
კოლხეთი	9	1	1	7	5:18	4

ეროვნული ჩემპიონატის
ჰირველი, 9-ტურიანი წრე
დინამოს მარცხითა
და ტორპედოს
ლიდერობით დასრულდა



იყო სულაე ერთი ასეთი
წვირიგინც საჭიროთა დროში:
ხალხს ფახე ეწერა
«ანი უსტალი». ჰოდა,
დინამოს საქმეს ეგრეა...
ისინი დაიღალნენ
და ბათუმი სათაგაოდ
გავხვები გაუხვენ

გოლე

გაფრინდა აბიურაბი ფოტო

საბრძოლო საუკეთესო, კობიაშვილი კლიერი ორი ქართული გოლის ამბავი

ბუნდესლიგის მეშვიდე ტური კონტრასტული გამოდგა ქართველებისთვის — იაშვილ-ცქიტიშვილის „ფრაიბურგი“ შინ 1:2 დამარცხდა „მაინცთან“, ხოლო ლევან კობიაშვილის „შალკემ“ გუშინ „ბოხუმს“ 3:2 მოუგო და კობიაშვილმა „შალკემი“ პირველი ბუნდესლიგური გოლი გაიტანა. ფრაიბურგელ შემტევ ალექსანდრე იაშვილსაც გერმანული ამბები გამოვიკითხეთ და ნაკრებზეც ვესაუბრეთ



— „მაინცთან“ ფაფორიტად „ფრაიბურგი“ ითვლებოდა, მაგრამ დამარცხდით...
— ძალიან ცუდად ვითამაშეთ, რაც „ფრაიბურგში“ ვარ, ეს გუნდის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი თამაში იყო. ერთი ვეაა, რომ ცქიტიშვილმა ძალიან მაგარი გოლი გაიტანა — „მაინცის“ საჯარიმო მოედნიდან გადმოვარდნილი ბურთი

მკერდით გააჩერა და მიწაზე დაუშვებლად ისეთი დაარტყა, რომ ცხრიანში გაიტანა — ასე ვეათანაბრეთ ანგარიში, მაგრამ მოგება გეინდოდა და ბოლო წამებზე კონტრშეტევაზე გავვიტანა „მაინცმა“.
— „ფრაიბურგი“ შინ ტრადიციულად ძლიერად თამაშობდა, მაგრამ ამ ბუნდესლიგაში სახლში 4 თამაში გამართა, აქედან სამი ფრედ

ითამაშა და ერთი წააგო — რაშია საქმე?
— არ ვიცი, „მაინცის“ დარგუნდებთან შინ სულ ვიგებდით, მაგრამ ახლა ასე აღარ ხდება. წინა ტურში „ბაიერთან“ მიუნხენში 1:3 წაგავთ, მაგრამ „ბაიერს“ მაგრად ვავალებთ. ასეთი ადვილი „ბაიერთან“ თამაში არასდროს ყოფილა, მაგრამ საგოლე მომენტები ვერ

ბედნიერი ვარ, საქართველოს ნაკრებში მოხვედრა ჩემი ოცნება იყო და მიხარია, რომ მალე საუკეთესო ქართველ ფეხბურთელებს შორის ვიქნები — აი, ნაკრების დებიუტანტის, ქუთაისის „ტორპედოს“ მეკარის ზვიად სტურუას პირველი სიტყვები ეროვნულ გუნდში გამოცხების შემდეგ...



მისო ალარს იხუმროს?!

სამოდ დღეა, მიხეილ აშვეთია კლინიკიდან გამოეწერა და გუშინ „ლოკომოტივის“ საწვრთნელ ბაზასაც ესტუმრა.
— გუნდი მომენტარა — უთხრა აშვეთიამ ბაზასთან შეკრებულ ჟურნალისტებს და ყვარჯენების დახმარებით გაჭირვებით გადმოვიდა „მერსედესიდან“...
რკინიგზელთა თავკაცმა იური სიომინმა მისი დანახვისთანავე მიატოვა თავისი საქმე და მიხეილ აშვეთიას გადაეხვია. მწვრთნელ-ფეხბურთელმა ერთმანეთი თბილად მოიკითხა და კარგა ხანს ისაუბრა.
ჩვენ კი მისი ამბებს უფრო დაწვრილებით მოვიყვებთ: ნაოპერაცივე მარცხენა ფეხის დადგმა ჯერ აკრძალული აქვს, თუმცა, ექიმების თქმით, ყვარჯენებს რამდენიმე დღეში გადაადგებს.
— არავითარ ტკივილს არ ვგრძნობ. გამიმართლა და ოპერა-

ცია შესანიშნავა ექიმმა, ალექსეი ბალაკირევმა გამიკეთა. ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ახლა ფეხში ლითონი მაქვს, რომლის ამოღებაც ოთხი წლის მერე იქნება შესაძლებელი. ისიც მითხრეს, თუ ლითონის ამოღებას არ ისურვებ, შეგიძლია, მაგით იცხოვრო, ითამაშო და გოლებიც გაიტანო. იქნებ, ამ რკინის ფეხით დარტყმაც უფრო ძლიერი გამიხდეს... ხუმრობს აშვეთია.
მიზო ცდილობს, დეპრესიაში არ ჩავარდეს და ამაში იუმორიც უწყობს ხელს, თუმცა ეს სეზონი რომ მისთვის კომარული გამოდგა, თავადაც აღიარებს: „მეგონა, ნოვოროსისისკში რომ დავშავდი და ტვინის შერყევა მივიღე, მთელი წლის ტრავმული მარაგი „დავხარჯე“, წინ კი თურმე უარესი მელოდა. მაგრად დავითარსე“...
ბას ზალაგზარიძე

გამოკანებული ოცნება

ზვიად სტურუა: არ ვნერვიულობ, მიხარია!

ზვიად სტურუამ დაიმსახურა და აღენ ჟირესმაც არ დააყოვნა — ნაკრებში მიიწვია. ცხრა თამაში და სამი გაშვებული გოლი — ესეც ქუთაისელი მეკარის შედეგი. დღეს რომ „ტორპედო“ ჩემპიონატს ლიდერობს და თანაც ყველაზე ცოტა ბურთი გაუშვია, აბა, როგორ არ ვთქვით, ზვიად სტურუას დამსახურებაცააო?
— დიახ, ვიცი, რომ აღენ ჟირესი მაკვირდებოდა და საქართველოს ნაკრების კანდიდატად მთვლიდა, მაგრამ ახლა, უკრაინასთან შესარჩევი მატჩის წინ თუ გამომიძახებდა, ამას არ ველოდი. „თბილისთან“ ჩემპიონატის მატჩისთვის ვემზადებოდი, როცა „ტორპედოს“ მწვრთნელმა ოთარ გაბელიამ მითხრა, ნაკრებში მივიწვიესო. ძალიან გამიხარდა, სიხარულისგან მეცხრე ცაზე ვიყავი. ჩემთვის დიდი ბედნიერებაა, რომ საუკეთესო ქართველ ფეხბურთელებთან ერთად ვივარჯიშებ — გვითხრა ზვიად სტურუამ.
— მხოლოდ ივარჯიშებ?

გამოვიყენებ — ორი მომენტი მართო მე გავაცუდე.
— ახლა ბუნდესლიგაში შესვენებაა, რადგან 9 და 13 ოქტომბერს სანაკრებო მატჩებია — ალბათ იცი, რომ 13 ოქტომბერს უკრაინასთან კახა კალაძე ვერ ითამაშებს, ხოლო ზურაბ ხიზანიშვილის თამაში სათუაოა...
— კალაძე და ხიზანიშვილი მართლაც ძალიან დიდი ძალაა ჩვენთვის და სამწუხარო იქნება, თუ ხიზანიშვილს ვერ ითამაშებს. თუმცა ოთარ ხიზანიშვილი კარგ ფორმაშია და ლაშა სალუქვაძემაც კარგად ითამაშა ალბანეთთან, ასე რომ, დაცვაში უიმედოდ როდი ვართ.
— კობიაშვილმა „ბოხუმთან“ პირველი ბუნდესლიგური გოლი გაიტანა, რაც „შალკემი“...
— ყველაფერ ამას ტელევიზიით ვუყურებ — კობიაშვილმა „პოდსებითი“ ჩამოიცილა მეტოქე და ახლო კუთხეში გაიტანა. საერთოდაც, დღევანდამ ამ შეხვედრაში ძალიან ძლიერად ითამაშა. „ფრაიბურგზე“ კი ისიც უნდა ვთქვათ, რომ რაც სეზონი დაიწყო, გუნდში საუკეთესო ცქიტიშვილია.
დავით თავართქილაძე


კობიაშვილი

— რა ვთქვა, არც კი ვიცი. მხოლოდ ის ვიცი, რომ ოცნება ამისრულდა.
— კაკო დევაძეს ტრავმა ახალმოშუშებული აქვს, გიორგი ლომიას კი კარგა ხანია, არ უთამაშია. არ ფიქრობ, რომ უკრაინასთან ძირითადი მეკარე შენ იქნები? ხომ არ ნერვიულობ?
— რატომ უნდა ვინერვიულო? პირიქით, ძალიან მსურს, ვითამაშო და ვითამაშო მაღალ დონეზე. თუმცა ისიც ვიცი, რომ კაკო დევაძე და გიორგი ლომია დღესდღეობით საუკეთესო ქართველი მეკარეები არიან და მათ გამოჯანმრთელებას ვულოცავ.
— ნაკრებს როდის შეუერთდები?
— როგორც მწვრთნელმა თქვა, შეიდ ოქტომბერს თბილისში ვიქნები, სასტუმრო „ბატესტაში“. „ლოკომოტივთან“ ვითამაშებ და მატჩის მერე უკვე ნაკრებში ვიქნები.
კობია ივანავიძე

2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატი | შხარაში ზაპუში ჩვენი გეგმა


უარაინა
12 ოქტომბერს საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს უკრაინასთან მატჩი ელის. მოგესხენებათ, ჩვენს მეტოქეს ახალი მწვრთნელი ჰყავს — ალექსეი მიხაილიჩენკო. კიევის „დინამოს“ ყოფილმა თავკაცმა უკვე შეარჩია 23 ფეხბურთელი. აქვე ვთქვათ, რომ უკრაინელებს ქართველებთან მატჩამდე ბერძენ 21-წლამდელებთან მოუწევთ შეხვედრა.
მეპარკები: ბოგდან მუსტი (კარპატი), ანდრეი პიატოვი (კორსკლა), ვეგენი შირიაევი (ჩერნომორევი);
მცველები: დმიტრი ჩივრინსკი (შხტარი), ოლეგ გუმბინუკი (შერიფი, მოლდოვა), გრიგორი იარმაში, ალექსანდრ იაცენკო, ალე-

ქსანდრ რომანუკი (სამივე დინამო), ნიკოლაი იშჩენკო (კარპატი), ოლეგ კარამუშკა (ბორისფენი), დმიტრი ნემივაკა (მ.ზაპოროჟიე);
ნახევარმცველები: ვეგენი ჩებურიაკო (ზაკარპატიე), ანდრეი პროშინი, ალექსანდრ ალიევი, ალექსანდრ სიტნიკი, სერგეი როჟოკი (ოთხივე დინამო), აღრიან პუკანიჩი (შხტარი), კონსტანტინ კრავჩენკო (დნიპრო), ვლადიმირ სამბორსკი (მეტალისტი);
თავდასხმელები: დმიტრი ვორობეი, არტიომ მილევსკი (ორივე დინამო), ალექსანდრ გლადკი (მეტალისტი), ივან კრივიშენკო (ილიჩევცი);
პორტუგალია
სუპერლიგა V ტური
გიმარაში 1:2 ბანფიკა



საპირფარეო!

არ გავეცინოთ, პატივცემულო ბატონებო და, ამ მთელი კვირის სადინამოდ ნანერვიულეებზე და ნასიხარულეებზე მინდა, საქმიანი წინადადებით მივმართო საქართველოს მთავრობას.
რა თქმა უნდა, ეგებ მთავრობასაც გავეცინოს, მაგრამ მე მაინც მივმართავ:
ეს სტადიონი, როგორც ადვილი შესატყობია, უფრო და უფრო დაგვირდება და აქამდე რომ იყო მიგდებული, ისე აღარ გამოვა.
ეხლა, სკამები რომ უნდა ამ საქმეს, სალაპარაკოდ აღარ არის. ეს თავისთავად და ამაზე თუკი მიმართვა დასჭირდება, ხო წასულა საქმე.
ჩემი წინადადება სხვა არის. მოხვედთ ხელი ათ-თორმეტ საზრიან პოლიციელს პოლიციელთა ახალი თაობიდან, აუღეთ ბილეთები, ვთქვათ, პრემიერლიგის რომელიმე თამაშზე და გაგზავნეთ ლონდონში იმ თამაშის საყურებლად, უფრო კი სტადიონის მოსათვალისწინებლად და თავიანთი კოლეგების შესათვალისწინებლად.
ის თამაში რომ მორჩება, შეახვედრეთ იმ სტადიონზე ნამყოფ პოლიციელებს და გააზიარებინეთ იმათი გამოცდილება, რათა, აქ რომ ჩამოვლენ, იცოდნენ, როგორ უნდა დაიცვა თანამედროვე სამყაროში და თანამედროვე სტადიონზე უსაფრთხოება და წესრიგი.
საიდუმლო არ არის, რომ ეს მთელი მეცნიერებაა, ჩვენ კი ეს მეცნიერება აქამდე არ გვეჭირდებოდა: საბჭოურ ჯაჯგურობით გავდიოდით ფონს.
თორემ რა გამოვიდა იმ დღეს? ვინც კი შესვენებაზე ფეხსალაგს ჩავიდა, იმის ნახევარზე მეტი უკან აღარ ამოშვებს, სკამები არ არის და უეფას საზღვარს იქით ისედაც ხალხია, ვერ დაგვამთო. თურმე გარედანაც მოიწვედა ხალხი ცარიელი ადგილების დასაკავებლად. რა თქმა უნდა, არ უნდა შემოეშვათ, მაგრამ „პერერივზე“ ჩასულს რას ერჩი?! შორ ამბავს კი არ ვყვები, ჩვენს ძმბიჭსაც მოუვიდა, დაგვირეკა, მუშტიდთან დაგვილოდებით, აღარ ამომიშვებსო.
მერე კიდევ დღევანდელ სტადიონზე რა არის მთავარი მთელს განვითარებულ მსოფლიოში? ბევრი ალაყფი იყოს. ჩვენთან ან ერთია ღია, ან ორი და არის ჭედვა შესვლა-გამოსვლაზე. სტადიონის შესასვლელი სულ ხელახლა ასაშენებელი.
მოკლედ, ამ ლაყობას რომ მოვეშვათ, სასტადიონოდ გაწვრთნილი პოლიცია გვეჭირდება და კიდევ უფრო დაგვიჭირდება. ამიტომაც, ეგებ მოხვიონ ხელი ერთ ათ-თორმეტ პოლიციელს და აზიარონ საერთაშორისო გამოცდილებას.



სანაყრებოდ გამზადებულმა აყაი დევამემ ერთი და შორეული, დავით ბოლქვაძის დარტყმა გაუშვა

გადამი კამერალაშ ფოტო

სამართალის ნაპირი 16 9381

სამართალის ნაპირი 16 9381

თბილისი 2 ოქტომბერი 15 საათი ოქტომბერი 2 000 (ტყეაობა 3 000)

თბილისი 1:1 ბორჯაღო

0:1 ბოლქვაძე (13), 1:1 ჯიქია (58)	
<p>თბილისი: დევამე, ლოლაძე (მიკუნაძე 71), ორბელიანი, მიქიაშვილი, ელიავა (აფციაური 50), მესხი (ჯიქია 57), გოგუა, გენაძე, ხოჯაფა, გ. ვ. მიქიაძე, იაშვილი</p> <p>სათადარიგო: შეყრილაძე; გ. მოდებაძე, გ. ნუგ. ჭელიძე, ფიფია</p> <p>მწვრთნელი: გიორგი დევდარიანი</p>	<p>ბორჯაღო: სტურუა, ს. თოდუა, გამეზარდაშვილი, ლ. მერებაშვილი, მემარნიშვილი (რევაზიშვილი 71), ნერგაძე, ბოლქვაძე, კოშკაძე (მუმლაძე 79), ბაბუნაშვილი (გ. დარსაძე 85), მერგულაძე</p> <p>სათადარიგო: გ. გაბელია; ლაღაძე, დათუნაშვილი, ადუაშვილი</p> <p>მწვრთნელი: ოთარ გაბელია</p>
<p>გაზრდისობა: გენაძე (37)</p> <p>მსაჯეები: ა. მესხიანი, მ. ელიკაშვილი, ზ. ჯვარიძე (სამხრეთ თბილისი)</p> <p>სფზ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაძე</p>	

კობა ინასარიძე

ქუთაისის „ტორპედო“ ამჯერადაც წაუგებლად ითამაშა და ჩემპიონატი ფინიშსკენ რომ წავა, ალბათ მაშინ გამოჩნდება, თბილისიდან რა მნიშვნელობის ქულა წაიღო.

ქულაცა და ქულაც, „ტორპედოს“ „თბილისთან“ სტუმრობამ კარგ დროს მოუწია, მაშინ, როცა ტრავმებისა თუ დისკალიფიკაციის გამო მასპინძლებს ძირითადი

შემადგენლობის ერთბაშად ოთხი ფეხბურთელი აკლდათ — ქემოკლიძე, კვარაცხელია, ჭელიძე და ოლიკაძე; აფციაური და მიკუნაძე კი მწვრთნელმა საქმეში მოგვიანებით ჩართო.

ტურის ცენტრალური მატჩი თვალსაჩინო, დამაბული გამოდგა, თუმცა ვერ ვიტყვი, მომენტების სიმრავლითაც გამოირჩეოდა. საგოლე შანსები უფრო მეორე ტაიმში იყო, მაგრამ მათგან ხეირი მეტოქეებმა ვერ ნახეს. სა-

თარსმა არაპრის ანუენინა

თბილისმა თამაში იკოვა, ბორჯაღო კალა

მაგიეროდ, რაც გოლები გავიდა, ორივე ძალიან ლამაზი იყო, ჩინებულად შესრულებული. ჯერ „ტორპედოდან“ ერთ-ერთმა საუკეთესომ, დავით ბოლქვაძემ დაურტყა დევამეს ჯარიმა, ბურთი კედელს გადაეგო და მეკარისგან შორეულ კუთხეში შეფრინდა. მერე კი შეცვლაზე ახალშესულმა შოთა ჯიქიამ დაახლოებით საჯარიმოს კუთხიდან ცხრიანისკენ ისე დაარტყა, ალბათ ათი სტურუა ვერ აიღებდა.

საინტერესო დამთხვევა: ბოლქვაძემ მე-13 წუთზე გაიტანა, ჯიქიამ მეორე ტაიმის მე-13 წუთზე. „ტორპედო“ მთელი მატჩისას ფრთხილობდა. გაბელიას შევირდებს აქცენტი კარის უსაფრთხოებაზე ჰქონდათ, თუმცა მომენტი რომ ჩაუვარდებოდათ, შეტევასაც არ ერიდებოდნენ. მაგალითად, 0:1-ზე, როცა „ტორპედომ“ დაცვა უფრო გააძლიერა და „თბილისს“ სტურუამდე მისასვლელი ყველა გზა გადაუკეტა, მეგრულად იხეთი მომენტი გააცუდა, თავად დარჩა გაკვირვებული. დევამესთან პირისპირ შეყრამდე ქუთაისელს ხელისშემ-

შლელი არავინ ჰყავდა, თუმცა მან ნამეტანი მოინდომა, მცველებს დაელოდა, ერთს გასცდა კიდევ, მაგრამ მანც არ დაარტყა, ამასობაში კი მეორე მცველთან ჭიდილში წაიქცა და მეორე პენალტი მოითხოვა. მეშვიშემა სამართლიანად წაუყრუა, დასარტყმელი ადრე დაგერტყაო.

მეორე ტაიმის დაწყებიდან ხუთ წუთში „თბილისის“ მწვრთნელმა გიორგი დევდარიანმა რომ შეხედა, „ტორპედომ“ არანაირი ტაქტიკური გადაადგილება არ მომხდარა, მცველ ელიავას ნაცვლად შემტევ ნახევარმცველ აფციაურს უხმო სათამაშოდ. „თბილისიც“ უფრო მწვავედ ათამაშა და საგოლე გზების ძიებაში ერთ-ორ სახირო ეპიზოდსაც გამოჩნდა, თუმცა სტურუამ იყონადა.

მერე დევდარიანმა მეორე შეცვლაც გააკეთა და ანგარიშიც გათანაბრდა. ჯიქია მოედანზე ორი წუთის შესული იყო, როცა მარჯვნიდან საშინელი ძალით დაარტყა და შორეულ ცხრიანში გაიტანა. გოლს მოედნის ცენტრში მცირე შელაპარაკება მოჰყვა, ფეხბურთე-

ლებმა რაღაც ვერ გაიყვეს და იმიტომ, თორემ გოლი საკამათო არ ყოფილა.

ანგარიშის გათანაბრების შემდეგ თამაში თითქოს თავიდან დაიწყო, თუმცა ამჯერად მასპინძლების აშკარა უპირატესობით. „ტორპედოს“ თავდაცვის მეტი აღარაფერი დარჩენოდა, თუმცა ამ საქმეს ქუთაისელები მართლაც კარგად აკეთებდნენ. განსაკუთრებით ტანმაღალი გამეზარდაშვილი, რომელიც საჯარიმოში ყველა ჩაწოდებულ ბურთზე იაშვილს ებრძოდა და თითქმის სულ მოგებულ რჩებოდა. ძირს კი იაშვილის დარტყმულს ქუთაისელი მცველი გრძელი ფეხებით ელოებოდა.

მოკლედ, 1:1 ორივე გუნდისთვის ლოგიკური შედეგი უნდა იყოს. თანაც თბილისელთა მწვრთნელის, გიორგი დევდარიანის სიტყვებიც ვახსენოთ, მთავარია, რომ მცირე ჩავარდნისა და შემადგენლობის ხშირი ცვლის შემდეგ გუნდი თავის თამაშს უახლოვდება, თამაშის მოსვლით კი შედეგიც მოვაო, გვითხრა ნამატჩევს დევდარიანმა.



დიდი „თავრილობა“ ზვიად სტურუას კართან



აღენ ჟირესი აყვირდება

მცხეთა. 2 ოქტომბერი. 15 საათი. პრემია. 600 (ტელეფონი 3 000)

ვიტ ჯორჯია 4:0 ზესტაფონი

1:0 მერებაშვილი (28), 2:0, 3:0 ადამია (54, 66), 4:0 მერებაშვილი (80)

შავგულიძემ ვერ გაიტანა პენალტი (23, ხარისა)

<p>ვიტ ჯორჯია: მერებაშვილი, კვასაძე, კუბრეიშვილი (ვ. გოჩაშვილი 33), ინწკირველი, იმედაშვილი, გველესიანი, პ. დათუნაიშვილი, ლ. ნოზაძე (ლ. კვარაცხელია 68), დიდმელაშვილი, ე. მერებაშვილი, ადამია (სახოკია 77) სათადარიგონი: მამარდაშვილი, ქუთიაშვილი, გ. დათუნაიშვილი, დ. ლომია მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე</p>	<p>ზესტაფონი: ცინაძე, რაქვიაშვილი, ძამაშვილი, სიდაშვილი, გვარჯიანი, გ. თურმანიძე, სულაქაძე, შავგულიძე (მელიქია 60), ბესარაშვილი, კვერცხიანი (ჯაფარიძე 54), გ. ქუთათელაძე (მერელიძე 56) სათადარიგონი: მერკვილიშვილი, ნუფი, შუკაკიძე, კახიანიშვილი მწვრთნელი: ზაზა გურიელიძე</p>
---	---


გაზრდაშიწმობა: რაქვიაშვილი (24), ბესარაშვილი (40), კვარაცხელია (69)
მსაჯენი: ლ. სილაგაძე (თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირცია (ტელავი), ა. შილაგაძე (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინგაგაშვილი

კახა შალვაშვილი მცხეთიდან

შაბათის „სარბიელში“ ვწერდით, ამ წყვილში „ვიტ ჯორჯია“ აშკარა ფავორიტია, მაგრამ სიურპრიზის შემოთავაზება „ზესტაფონსაც“ შეუძლია.

ასეც იყო — 23-ე წუთზე სტუმართა კაპიტან ლევან შავგულიძემ

პენალტი რომ გაიტანა, არაფერი იცის, როგორ დამთავრდებოდა ეს მატჩი. სხვა მხრივ „ვიტ ჯორჯიას“ მოგებაში გასაკვირი არაფერია. ვეტერნარებს ამ სეზონში ძალიან კი უჭირთ, მაგრამ ყველანაირად ცდილობენ ჩემპიონის სახელის გამართლებას და რა გამოსდით აქედან, სხვა საქმეა.



გიორგი თურმანიძეს ლაშა ნოზაძე წამოეკცია

ტრადიციას ასეთი ზესტაფონში ვიღაც და რაღაც სულ იცვლება

„ზესტაფონს“ კი პრობლემები თავზესაყრელად აქვს. აქ ფინანსურს თუ სხვა სახის არ ვგულისხმობთ, ზესტაფონლებს უფრო ფეხბურთელთა შერჩევამ უჭირთ და ამის მაგალითი მცხეთაშიც ვნახეთ — ტრადიციული ზაზა ზირაქიშვილი, დავით ჯანაშია, დავით ჩიღვინაძე — ეს თავდამსხმელები დღეს უქმად არიან. ისიც გაფიქვთ, რომ ჩიღვინაძემ გუნდი სულაც დატოვა. ყოველ შემთხვევაში, მცხეთაში ამის შესახებ ოფიციალურად არაფერი უთქვამს, თუმცა ის კი ითქვამს, ფეხბურთელსა და ხელმძღვანელობას შორის მთლად იდეალური ურთიერთობა არ იყო და...

ასეთი მოულოდნელი ცვლილებები „ზესტაფონს“ მართლაც ახასიათებს. თუნდაც ყოფილი ვეტერინარის, კახა ბერელიძის გადაბირება რად ღირს.

მგონი, „ტრადიცია“ უახლოეს ტურებშიც გაგრძელდება, რადგან გუშინწინდელი მატჩისას ერთი-ორი ფეხბურთელის მისამართითაც გაისმა საკმაოდ მკვახე პრეტენზიები. ისე, ამაში გასაკვირი არაფერია — პატრონი ფულს იხდის და შედეგს ითხოვს. როცა შედეგი არ არის, რაღაცის შეცვლის დრო დგება, ასე რომ...

მოედანს მიღმა მომხდარ ამბებზე მეტს აღარ გეტყვით და ახლა თამაშზე: 28-ე წუთამდე „ზესტაფონი“ მაგრად იდგა. საკუთარ საჯარიმოს მისაღვამებს ამაგრებდა და თუ გამოუვიდოდა, შეტევაზეც არ ამბობდა უარს. მოკლედ, „ვიტ ჯორჯიას“ ბურთი კი ჰქონდა, მაგრამ საზიფათო მომენტის შექმნას

ვერ ახერხებდა. 23-ე წუთზე თემურ რაქვიაშვილს ალექსანდრე ინწკირველი ეუხემა და სტუმრებმა პენალტი მონადირეს — როგორც თავში გითხარით, ლევან შავგულიძის უძლიერესი დარტყმული ხარისხს მოხვდა — „ზესტაფონს“ არ გაუმართლა და მალე დაისაჯა კიდევ.

ხუთიოდ წუთში ერეკლე მერებაშვილმა მონაგრა პენალტი და იდეალურადც დაარტყა — 1:0.

„ვიტ ჯორჯია“ ხასიათზე მოვიდა, „ზესტაფონი“ კი პირიქით — აირია. ეგ იყო, შესვენებამდე სტუმარ-მასპინძელს ერთმანეთი არ შეუშინებია.



ზესტაფონელთა ახალი მთავარი ზაზა გურიელიძე

მეორე ტაიმში კი გიორგი ადამია გაილადა. მან ჯერ პავლე დათუნაიშვილის ჩაწოდებულს დაკრა საგოლე თაყური, მოგვიანებით ლაშა ნოზაძის პასით გავიდა მეკარესთან პირისპირ და ანგარიში გამანადგურებელი გახადა — 3:0.

მატჩის ბოლოს მერებაშვილმა ერთხელაც მოიქნია საგოლე და ადამიას დარად, დუბლი შეასრულა.



ორბურთიანი გიორგი ადამია

მური. 2 ოქტომბერი. 15 საათი. თინათინ პურჯანაძე. 300 (ტელეფონი 8 230)

დილა 0:0 ლოკომოტივი

<p>დილა: გ. სომხიშვილი, მგელაძე, ლომიძე, ჩაჩუა, ბაბიაშვილი, კ. ხანიშვილი, ქარქოზაშვილი, შატაკიშვილი (გაბლაია 56), დ. ხანიშვილი (ხატიაშვილი 67), ნუნუა, სულთანშვილი (მინარაშვილი 71) სათადარიგონი: თ. ილურიძე, ფოფხაძე, მასურაშვილი, თომიაშვილი მწვრთნელი: სოსო ვაშაკიძე</p>	<p>ლოკომოტივი: გვარამაძე, გ. ონიანი, მახვილაძე, ბაქრაძე, ქებაძე (სირბილაძე 46), სიჭინავა, გოგობერიშვილი, რ. ონიანი, ლ. ჩხაიძე, ბურდული, ბობოხიძე სათადარიგონი: ბათიაშვილი, ლაცხიძე, სანიკიძე, სოსელია, გაგუა, მემოივი მწვრთნელი: ზაურ სვანაძე</p>
--	--

გაზრდაშიწმობა: სულთანშვილი (37), შატაკიშვილი (42), ბაქრაძე (82)
მსაჯენი: მ. მაისურაძე; მ. ურუშაძე (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ლ. ფანიშვილი (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ზ. ბერტიაშვილი

ვაშა ხუციშვილი გორიდან

პირველი წრის ბოლო ტურის მატჩის წინ გორის „დილას“ მწვერთნელი ზურაბ ზორგუაშვილი გადადგა. კლუბის ხელმძღვანელებმა მისი ადგილი „დილას“ სამგზის ყოფილ თავკაც სოსო ვაშაკიძეს შესთავაზეს და ისიც დაეხმობოდა. სოსო ვაშაკიძის ხელქვეით გადახალისებული გუნდი თბილისის „ლოკომოტივს“ დაუზავდა და ეს ფრე გორელთათვის ამ სეზონში პირვე-

ლი გამოდგა. საინტერესოა, რომ „დილა“ ბოლოს ფრედ გაზაფხულზე, 26 მარტს, გორში სწორედ „ლოკომოტივთან“ ითამაშა და ის შეხვედრაც უგოლოდ დასრულდა. ქართლელთა ახალი მწვერთნელი გუნდში სეზონის ბოლომდე დარჩება და, როგორც პრესკონფერენციაზე თქვა, ვითარების გამოსასწორებლად ცოდნა-გამოცდილებას არ დაიშურებს.

ამ მატჩში „დინამოდან“ „ლოკომოტივი“ განათხოვრებული ლა-

ვაშაკიძის მეოთხე დილა მუვიდობისა პასი ფიფას და გორის ციხეს

დო ბურდულის დებიუტი შედგა, ზაურ სვანაძემ კი ნამატჩევს განაცხადა, რომ ახალწვეულის თამაშით კმაყოფილია.

მატჩი სანახაობრივი არ გამოდგა, თუმცა ალაგ-ალაგ ტემპიც იყო, ჯაჯგურიც და ბრძოლაც. მასპინძლები, სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, სულ მცირე, ქულის აღებას ეშუერებოდნენ და საბოლოოდ კიდევ მიივალეს. გორელები კონტრშეტევებზე აეწყვნენ, სტუმრებს საკუთარი საჯარიმოს წინა ხაზთან უხვდებოდნენ და ბურთს ართმევისას უმალ წინ მობენალ სულთანშვილს ან წუწუნავას უგზავნიდნენ. მეურვეებთან ბრძოლაში ორივე ფორვარდს სისწრაფე აკლდა. „ლოკომოტივს“ კომბინაციები ზოგჯერ კარგად გამოსდებოდა, მაგრამ საბოლოოდ შეტევათა უმრავლესობა ოდენ კარის წინ ჩაწოდებით მთავრდებოდა. აქ უკვე „დილას“ მცველები სჯობ-

დნენ ხშირად მეტოქეებს. თბილისელებმა მეორე ტაიმში რამდენჯერმე შორიდან დარტყმით სცადეს გატანა. ბობოხიძისა და გოგობერიშვილის გასროლილ ბურთებს სომხიშვილი არ შეუწუხებია, რადგან ორივემ გვარიანად ააცილა ჩარჩოს. ხოლო როინ ონიანმა მეკარეს ბურთი თავზე კი გადაავლო, მაგრამ კარის წინ გაგორებული ბურთი შემდეგი არაფერი აღმოჩნდა.

ყველაზე რეალური შანსი შესვენების შემდეგ კახა წუწუნავას ჰქონდა, რომელმაც მცველის შეცდომით ვერ ისარგებლა. მახვილაძეს თავის ნახევარზე, ცენტრთან ახლოს ბურთი ფეხებში აებლანდა. წუწუნავამ წაართვა, კარისკენ გაიქცა, მაგრამ თავდაც აიხლართა და წართმეული ისევ მცველს დარჩა.

ნანახზე მეტს ვეღარ გიამბობთ, რადგან საინტერესო აღარაფერი

მომხდარა, სამაგიეროდ, სტადიონზე გაგონილს მოგახსენებთ. პირველ ტაიმში მსაჯამ სულთანშვილი და შატაკიშვილი გააფრთხილა. შესვენებისას, მისურაძე გასახდელისკენ რომ მიდიოდა, მავანმა ქომავამ მიამხა: „რატო აფრთხილებ ხალხსა?!“ რაზეც ერთერთმა თანაქალაქელმა უპასუხა: „განზრახ ხელით თამაში და სასტუმრის შემდეგ ბურთის გადაგება ყვითელი ბარათით ისჯება და შენ თუ ახალი წესების შემოღება გსურს, დაწერე და ფიფას გაუზავანე“.

მეორე ტაიმში მარცხენა ფლანგზე გაქცეულ კობა ხანიშვილს საჯარიმოში ჩაწოდება სურდა, მაგრამ ბურთი აეჭრა და კარის უკან ისე გაფრინდა, რომ მაყურებელს სიცილი მოჰგვარა, რაზეც რეპლიკამაც არ დააყოვნა — გორის ციხეს ჩააწოდაო, თქვა მხიარულმა გულშემატკივარმა.

დინამო ბათუმში სახელი გაუშვა ზღვამ მარჯაფი აქაფდა

ბიორგი მურმანიძე ბათუმიდან

უეფას თასზე თავნასახელები თბილისის „დინამო“ შინაური ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო ტურში ბათუმს ესტუმრა და... 0:3 დამარცხდა.

ბათუმში არ ჩამოსულან არც ვია გეგუნაძე და არც ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები, ამიტომ დუბლიორებთან თამაში მასპინძლებს არ გასჭირვებიათ.

თუ „ბათუმს“ „დინამოს“ მწვერთნელი არ ესტუმრა, ესტუმრა ნაკრების მწვერთნელი ალენ ჟირესი, რომელსაც თვისტომი ჟურნალისტიც ახლდა.

ავღრიანი მატჩის პირველი 15 წუთი სტუმრების იყო. განსაკუთრებით აქტიურობდა ლადო ახალაია, რომელმაც ერთხელაც მარჯვენა ფლანგზე სამი ბათუმელი მოატყუა, მაგრამ უხეიროდ დაარტყა.

ამის შემდეგ ბათუმელებმა თამაში დააღაგეს და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს.

უნიათო თამაშში ჩაველილი პირველი ტაიმის მერე კი მოედანზე სულ სხვა „ბათუმი“ გამოვიდა. გამოვიდა და...

47-ე წუთზე ქაჯარავამ უყურადღებოდ დარჩენილ ხომერისკს თავზე დასვა ბურთი და მანაც „ინგლისურად“ გაიტანა — 1:0.

ზუსტად ათ წუთში ჭელებემ ჯარიმა დაარტყა, კედელში მდგომ ხმალაქეს ბურთი ხელზე შეეხო და მალაღურაძემ თერთმეტმეტრიანი დანიშნა, რომელიც უნაკლოდ შეასრულა დარჩიძემ — 2:0.

ამის მერე ბათუმელები დაცხრნენ და თბილისელებს გააქტიურების საშუალება მიეცათ. გამოსარჩევია



ალენ ჟირესი შაბათს „თბილის“-„ტორპედოს“ დაესწრო, კვირას კი ბათუმში იყო

ბათუმი 3:0 დინამო

1:0 ხომერისკი (47), 2:0 დარჩიძე (57), 3:0 ჭელიძე (85)	ბათუმი: გრიგოშვილი, ვ. მახარაძე (ბესიკ თედორაძე 20), ბეგლარ თედორაძე, გალგორე, ექონია, ხუჯაძე, ქაჯარავა, ჩიკვილაძე, გ. ნოდ. ჭელიძე (ფირცხალაიშვილი 85), დარჩიძე (მანჩავა 73), ხომერისკი, სათადარიგონი: ბალაძე, ფურცხანიძე, ცანავა	დინამო: თოთლაძე, კაშია, გიგაური, სილაგაძე, ხმალაძე, ახალაია (ალადაშვილი 20), გრიგალაშვილი (ქუცურუა 28), კ. მახარაძე, რომერო, გონჩაროვი, დვალი (ნავალოცკი 59), სათადარიგონი: მამალაძე, დვალიშვილი
მწვერთნელი: ნუკრი გოგიტიძე	მწვერთნელი: ნესტორ მუმლაძე	
ბაზრისილიზა: ჩიკვილაძე (53), დვალი (4)		
მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე (ორივე სამტრედიას); გ. კიკაბერიშვილი (ქუთაისი);		
სფზ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე		

ახალგაზრდა თავდამსხმელის, შეცვლაზე შესული ქუცურუას თამაში. ვიორგემ ბათუმელთა მარცხენაფლანგელები გააწამა.

ბათუმელი გულშემატკივრები გოლებით გაანებივრა ვიორგი ჭელიძემ და არც ეს მატჩი იყო გამონაკლისი. მეორე ნახევარი იწურებოდა, როცა ნუკრი მანჩავამ ცენტრიდან ჩააწოდა ხომერისკს, რომელიც მცველს გაეცა და მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო. კარი ძელმა იხსნა. გადმოვარდნილზე კი ყველას „ჭელომ“ დაასწრო და 3:0.

ნესტორ მუმლაძე: სამწუხაროდ, მწვერთნელი ვია გეგუნაძე ავად გახდა და ვერ მოახერხა ბათუმში ჩამოსვლა. ფეხბურთელებს რაც შეეხება, გადაღლილები იყვნენ და დავასვენეთ. ახალგაზრდებით უკმაყოფილო ვარ, უკეთესად თამაში შეუძლიათ. ვულოცავ „ბათუმს“ დამსახურებულ გამარჯვებას.


ნუკრი გოგიტიძე: უპირველესად, ვულოცავ „დინამოს“ უეფას თასის



ძირითადში ძლივს მობრუნებული ლადო ახალაია შესაცვლელი შეიქნა

ჯგუფში გასვლას. ამან ყველა ძლიერ გაგვახარა. დღევანდელი მატჩის შედეგით კმაყოფილი და ბედნიერი ვარ. მთელი მატჩი ჩვენი უპირატესობით მიმდინარეობდა. ჩვენს ამოცანებს და გეგმებს ნელ-ნელა ვასრულებთ. ბათუმში ფეხბურთი გამოცოცხლდება.

ტორპედო	9	6	3	0	15:3	21
დინამო	9	6	2	1	23:7	20
ბათუმი	9	5	2	2	15:6	17
თბილისი	9	5	2	2	19:12	17
ლოკომოტივი	9	4	4	1	14:4	16
ვიტ ჯორჯია	9	4	2	3	17:13	14
სიონი	9	2	1	6	9:25	7
ზანტაფონი	9	2	0	7	6:24	6
დილა	9	1	1	7	6:17	4
კოლხეთი	9	1	1	7	5:18	4



პოლსონი 2 ოქტომბერი 5 საათი თანაზ სტადიონი 1:50 (ტყეფაბა 5 000)

სიონი 2:2 კოლხეთი

1:0 ჩოხელი (27), 2:0 გოგოლაძე (44), 2:1 ძოძუაშვილი (78), 2:2 აკობია (88)	სიონი: ბობლიაშვილი, კობაური, გ. კილაშონია, ოქროპირიძე, ბ. შელია, გ. დოლიძე, ფეიქრიშვილი, ვერმეშვილი (ნ. ლაბაძე 69), მიქიავა (დ. არჩაძე 80), პ. ჩოხელი, გოგოლაძე (რუსია 62), სათადარიგონი: ასლანაძე, ალავეძე, ლამბაშიძე, ცეციტაია	კოლხეთი: ქვანახია, ჭითანავა, თაყაიძე, ლონდაძე, აკობია, გ. თოდუა, ვარაგაძე (კუნჭულია 62), დ. ნარსია, მარგალიტაძე, ზ. ქუთათელაძე (გ. კილაშონია 88), ძოძუაშვილი, სათადარიგონი: გ. შენგელია, ხურცილაძე, ნ. ნარსია
მწვერთნელი: ვარლამ კილაშონია	მწვერთნელი: სერგო გაბელია	
ბაზრისილიზა: დ. ნარსია (60), გოგოლაძე (61)		
მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ზ. მენთუაშვილი (თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)		
სფზ-ის ინსპექტორი: ს. კუტივაძე		

დავით თავართქილაძე ბოლნისიდან

ბოლნისში უჩვეულოდ ცოტა მაყურებელი მოვიდა მატჩზე, ალბათ იმიტომ, რომ „სიონი“ ბოლო თამაშებში ვერ ჩაუქობს და თან აუტსაიდერს ზვებოდა. „სიონმა“ მეორე ტაიმში ორბურთიანი უპირატესობა კი გაფლანგა, მაგრამ ამ ფრთის ცხრილში ერთი საფეხურით მაინც აიწია.

შეხვედრას ინტერესს ისიც სძენდა, რომ „კოლხეთში“ მთავარი მწვერთნელის პოსტზე სერგო გაბელიას დებიუტი იყო, რაც წარმატებული გამოდგა — ბოლნისში ორი ბურთის ამოქაჩვა პატარა საქმე არაა.

თამაში ზანტად დაიწყო, მაგრამ ოცი წუთის შემდეგ ბურთაობა ოდნავ გახალისდა. პაატა ჩოხელმა თავით დაუგდო ბურთი დავით გოგოლაძეს, ვისი დარტყმულიც ფოთელთა ერთ-ერთმა მცველმა გამოიტანა კარიდან. შემდეგ ირაკლი მიქიავამ დაარტყა 15-16 მეტრიდან და ზურაბ ქვანახიამ მოიგერია ბურთი. ყველაფერ ამას მალე გოლიც მოეცა: ვიორგი ფეიქრიშვილმა მარცხნიდან ჩააწოდა ჯარიმა, ჩოხელმა ფეხი დაუხვედრა ბურთს და „სიონი“ დაწინაურდა.

„კოლხეთის“ პასუხი ასეთი იყო — მინდია ბობლიაშვილი გამოსვლაზე შეცდა, მერაბ ძოძუაშვილს თავით უნდა გაეტანა, მაგრამ ბურთი ხარიხამ აისხლიტა.

მასპინძლები შეტევებს განაგრძობდნენ. მათ იერიშებს სიმწყობრე არ ეტყობოდა, თუმცა სტუმრები მეორედაც დაამწუხრეს — მიქიავას ნაკუთხურალ ბურთს გოგოლაძემ დაჰკრა თავი, კოლხთა ერთ-ერთმა მცველმა ხელით ითამაშა და პენალტი თავად გოგოლაძემ შეასრულა უნაკლოდ.

მეორე ტაიმი ისე დაიწყო, რომ ფოთელებს დიდი შემართება არ ეჩნეოდათ, უფრო ისევ „სიონი“ უტევა მწვავედ. ფეიქრიშვილმა 17-18

კილაშონიას ეროვნული ხმელთა ბიზნეს-სტრატეგია შეერთებული ფეხბურთელი ნახაზს პერ კითხულობს

სიონი 2:2 კოლხეთი

მეტრიდან ვერ გაისწორა მიხანი, შემდეგ ვრიგოლ დოლიძე ვავიდა ქვანახიასთან პირისპირ, მაგრამ მეკარეს ვერ აჯობა.

მეორე ტაიმის შუაწელიდან კი „კოლხეთი“ გამოცოცხლდა და გოლიც გაიტანა — ძოძუაშვილმა ვარე ტერფით მოხდენილად დაარტყა და ბურთი მალაღურაძე კუთხეში აფართხალდა.

ფოთელები ამან კიდევ უფრო მოიყვანა მალაღურაძე, თუმცა ერთ-ერთ კონტრშეტევაზე „სიონს“ მართებდა გატანა — ფეიქრიშვილი მეკარი-სგან მიტოვებულ კარში გზავნიდა ბურთს, მაგრამ დავით ჭითანავამ ბოლომდე იბრძოლა და ზედ კარის ხაზზე დაუხვედრა მრგვალ საგანს ფეხი.

იყო მომენტები, როცა ოთხი-ხუთი ბოლნისელი კონტრიურიშე ერთ ფოთელ მცველსა და მეკარეზე გადიოდა, მაგრამ ტექნიკური წუნის საქმეს უფუჭებდა.

ამასობაში „კოლხეთმა“ ანგარიში გაათანაბრა: საჰაერო ბრძოლის შემდეგ ბურთი ლევან აკობიას მიუვიდა, ვინც ახლოდან აუღებელი დაარტყა.

ბოლო საგოლე შანსი კი სიონელმა მამუკა რუსიამ ვააცუდა — დასწრებაზე კარვად ითამაშა, მაგრამ კარიდან გამოსულმა ქვანახიამ დაუფარა.

სერგო გაბელია: სულ ხუთი ვარჯიში ჩავატარე „კოლხეთში“, თუმცა მანამდეც ვიცოდი, რა მდგომარეობა იყო გუნდში. მეორე ტაიმში ტაქტიკური გადაადგილებები მოვახდინეთ — დაცვაში ორი მცველი დავტოვეთ და წინ დიდი ძალებით წავედით, რამაც ვავვიმართლა.

ვარლამ კილაშონია: ორი უსუსტესი გუნდის თამაში იყო. ჩვენი გუნდის უმეტეს ფეხბურთელებს სრულიად შემთხვევით აცვიათ უმაღლესი გუნდის მაისურა. როგორც არ უნდა დაუხაზო მათ ტაქტიკური სქემები, მაინც სხვა რამეს თამაშობენ.

ფეხბურთი

ფე ამერის საფეხბურთო სკოლა
პირველი ლიგა
4 ოქტომბერი
მეექვსე ტურის გადაღებული მატჩი
ამერი — სპარტაკი

თბილისი თბილისი

დასაწყისი 15 საათზე. დასრულება უფასოა
მის: თიანეთის გზატკეცილი 25 (გლდანულას გადასახვევთან)

თაბაშ-თაბაშ 48 თაბაშ



არსენალი — ჩარლტონი. ტიერი ანრი და „არსენალი“ ვერტ „ჩარლტონში“ შეიჭრა

REUTERS

ინგლისი

პრემიერლიგა. VIII ტურში

არსენალი 4:0 ჩარლტონი

1:0 ლიუნგბერგი (33), 2:0, 3:0 ანრი (48, 69), 4:0 რეისი (70)

არსენალი: ი. დემანი, ლორენი, ს. კემპელი, კ. ტურე, კლინი, ლიუნგბერგი (პენანტი 49), ვიერა, ფაბრეგასი (ფლაბინი 82), რეისი, ანრი (ვან პერსი 82), ბერესკამპი

მწვრთნელი: არსენ ვენგერ
ჩარლტონი: კაილი, იანგი, პერი, ჯ. ფორმანი, პრედარსონი, მერფი, ელ კარკური, კიშიშვილი (რომედალი 66), გ. სტიუარტი (პოლანდი 74), იუელი (ჯ. იოჰანსონი 66), ლისბი

მწვრთნელი: ალან კერბილი
გაფრთხილება: ვიერა, ლიუნგბერგი, კლინი, სტიუარტი

მსაჯი: დინი

38 103 მაყურებელი

ეპიტრონი 0:1 ტოტენჰემი

0:1 პამარო (53)

ეპიტრონი: მარტინი, შიბერტი, ვიერი, სტაბსი, პისტონე (მაკფადენი 77), ოსმანი, კერსლი (დ. ფერგიუსონი 58), ჩეპილი (უოტსონი 63), გრავესენი, კილბენი, მ. ბენტი

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

ტოტენჰემი: პ. რობინსონი, პამარო, კონგი, ნაიბეტი, ედმანი (ე. გარდერი 69), ს. დევისი, რედნაპი, მ. მენდესი, ატუბა, რობი კინი, დეფო (ციგლერი 80)

მწვრთნელი: ფაჯ სანტინი

გაფრთხილება: გრავესენი, რედნაპი, დეფო

მსაჯი: პოლი

38 624 მაყურებელი

ვალეპარნი 2:2 ბსტონ ვილა

0:1 ანელი (25), 1:1 ფერგიუსონი (30), 2:1 ემერტონი (63), 2:2 მელბერგი (80)

ვალეპარნი: ფრიდელი, ნაილი, ლ. ამორუზო, დ. მატეო, გრეი, ემერტონი, მ. ფერგიუსონი, თუგაი, იანსენი (ფლიტკროფტი 58), ჯორკაეფი (სტილი 71), დიკოვი

მწვრთნელი: მარკ პიუზი

ბსტონ ვილა: სორენსენი, დე ლა კრუზი, ელბერგი, დილანი, ჯ. სამუელი, სოლანო (ვასელი 76), გ. მაკკანი, მუნდრი, ბერი (პიტლსპერგერი 76), პ. ანელი, კ. კოული

მწვრთნელი: დევიდ ოლირი

გაფრთხილება: ემერტონი, ნაილი, მაკკანი, სოლანო

მსაჯი: უოლტონი

20 502 მაყურებელი

ვესტ ბრომვიჩი 2:1 ბოლტონი

1:0 კანუ (57), 2:0 გერა (65), 2:1 იანკოპოლოსი (73)

ვესტ ბრომვიჩი: პოულტი, ბ. პასი, გაარდსო, დ. მური, ალბრეტსენი (ლ. დიერი 81), გერა, შიშეკა, ე. ჯონსონი, გრინინგი, პორნფილი, კანუ

მწვრთნელი: გარი მეგსონი

ბოლტონი: იასკელიანი, ბენ პაიმი, ნგოტი, ჯიდი, რ. გარდერი, კამპო (კაკუ 65), სპიდი, ოკონა (დოუფი 34), ნოლანი, ლ. ფერდინანდი, პედერსენი (იანკოპოლოსი 58)

მწვრთნელი: სემ ალარდაისი

მსაჯი: კლატენბურგი

23 849 მაყურებელი

საუთჰემპტონი 0:0 მანჩესტერ სიტი

საუთჰემპტონი: ნიემი, ნილსონი, ლუდევიკი, იაკობსონი, ლე სო (ვან დამი 46), ფერდინანდი (ნ. მაკკანი 67), დელაპი, პრატონი, ა. სვენსონი, ფილიპსი, ბიტი (კრუჩი 18)

მწვრთნელი: სტივ უიგლი

მანჩესტერ სიტი: ჯემისი, მილსი, დოსტინი, რ. დანი, ტეტჩერი, რაიტ-ფილიპსი, ჯ. ბარტონი, ბოსველტი, ფიხაი, ანდერსონი, მაკენი

მწვრთნელი: კევინ კიგანი

მსაჯი: რენი

28 605 მაყურებელი

მანჩესტერ სიტი: ჯემისი, მილსი, დოსტინი, რ. დანი, ტეტჩერი, რაიტ-ფილიპსი, ჯ. ბარტონი, ბოსველტი, ფიხაი, ანდერსონი, მაკენი

მწვრთნელი: კევინ კიგანი

მსაჯი: რენი

28 605 მაყურებელი

მანჩესტერ სიტი: ჯემისი, მილსი, დოსტინი, რ. დანი, ტეტჩერი, რაიტ-ფილიპსი, ჯ. ბარტონი, ბოსველტი, ფიხაი, ანდერსონი, მაკენი

მწვრთნელი: კევინ კიგანი

მსაჯი: რენი

28 605 მაყურებელი

მანჩესტერ სიტი: ჯემისი, მილსი, დოსტინი, რ. დანი, ტეტჩერი, რაიტ-ფილიპსი, ჯ. ბარტონი, ბოსველტი, ფიხაი, ანდერსონი, მაკენი

მწვრთნელი: კევინ კიგანი

მსაჯი: რენი

28 605 მაყურებელი

მანჩესტერ სიტი: ჯემისი, მილსი, დოსტინი, რ. დანი, ტეტჩერი, რაიტ-ფილიპსი, ჯ. ბარტონი, ბოსველტი, ფიხაი, ანდერსონი, მაკენი

მწვრთნელი: კევინ კიგანი

მსაჯი: რენი

28 605 მაყურებელი

მანჩესტერ სიტი: ჯემისი, მილსი, დოსტინი, რ. დანი, ტეტჩერი, რაიტ-ფილიპსი, ჯ. ბარტონი, ბოსველტი, ფიხაი, ანდერსონი, მაკენი

მწვრთნელი: კევინ კიგანი

მსაჯი: რენი

28 605 მაყურებელი

მანჩესტერ სიტი: ჯემისი, მილსი, დოსტინი, რ. დანი, ტეტჩერი, რაიტ-ფილიპსი, ჯ. ბარტონი, ბოსველტი, ფიხაი, ანდერსონი, მაკენი

მწვრთნელი: კევინ კიგანი

მსაჯი: რენი

28 605 მაყურებელი

მანჩესტერ სიტი: ჯემისი, მილსი, დოსტინი, რ. დანი, ტეტჩერი, რაიტ-ფილიპსი, ჯ. ბარტონი, ბოსველტი, ფიხაი, ანდერსონი, მაკენი

მწვრთნელი: კევინ კიგანი

მსაჯი: რენი

28 605 მაყურებელი

მანჩესტერ სიტი: ჯემისი, მილსი, დოსტინი, რ. დანი, ტეტჩერი, რაიტ-ფილიპსი, ჯ. ბარტონი, ბოსველტი, ფიხაი, ანდერსონი, მაკენი

მწვრთნელი: კევინ კიგანი

მსაჯი: რენი

28 605 მაყურებელი

მანჩესტერ სიტი: ჯემისი, მილსი, დოსტინი, რ. დანი, ტეტჩერი, რაიტ-ფილიპსი, ჯ. ბარტონი, ბოსველტი, ფიხაი, ანდერსონი, მაკენი

მწვრთნელი: კევინ კიგანი

მსაჯი: რენი

28 605 მაყურებელი

ნორვიჩი 2:2 პორტსმუთი

0:1 აიგბენი (37), 1:1 შაკერბი (63), 1:2 ბერგერი (65), 2:2 ჩარლტონი (67)

ნორვიჩი: რ. გრინი, ედვორთი, ჩარლტონი, ფლემინგი, დრური, მ. იონსონი (მაკფადენი 72), პოლტი, ფრენსისი, ბენტლი, მ. აკერბი, მაკკენი (მ. სემსონი 79)

მწვრთნელი: ნაიჯელ უორზინგტონი

პორტსმუთი: პისლოპი, გრიფინი, პრიმუსი, ანსუორთი, მეთიუ ტილიორი, ა. სისე (ლუა ლუა 69), ფეიე (რ. პიუზი 79), ქვოში, ბერგერი, დ. კამარა (ფულერი 60), აიგბენი

მწვრთნელი: შარი რედნაპი

გაფრთხილება: იონსონი, გრიფინი, ტილიორი, ფეიე

მსაჯი: მესიასი

28 353 მაყურებელი

მანჩესტერ იუნ. ჩემპიონი 0:0 მანჩესტერ იუნ. ჩემპიონი

0:1 დოუნინგი (33), 1:1 სმიტი (81)

მანჩესტერ იუნ. ჩემპიონი: კეროლი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, მ. სილვესტრი, პინცე, კ. რონალდო, როი კინი, ოში (ა. სმიტი 69), გიგზი, ვან ნისტელროი, რუნი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

მანჩესტერ იუნ. ჩემპიონი: შვარცერი, მაკამპონი, პარნაბი (კუპერი 35), რიგოტი, საუთგეიტი, ბოატენგი, დოუნინგი (გრემი 87), მენდიტა, ჯ. მორისონი (დორივა 79), ზენდენი, ნემეტი

მწვრთნელი: სტივ მაკლარენი

გაფრთხილება: კინი, მენდიტა, ბოატენგი, ნემეტი

მსაჯი: სტილიზი

67 988 მაყურებელი

ბირმინგემი 2:2 ნიუკასლი

0:1 ჯენსონი (3), 1:1 იორკი (23), 2:1 აპსონი (57), 2:2 ბათი (67)

ბირმინგემი: მიკ ტილორი, კლემენტი, კანინგემი, მელნიოტი, აპსონი,

დ. დანი (გრეი 83), გრონვიერი, იზეტი (კლემენსი 36), დ. ჯონსონი, სევიჯი, პესკი (იორკი 9)

მწვრთნელი: სტივ ბრიუსი

ნიუკასლი: გივინი, ბერნარი (რობერი 64), კარი, რ. ულიოტი, ე. ობრაიენი, ბოიერი (ა. პიუზი 81), ბათი, ჯენსონი, ბელაბი, კლივიერტი (მილნერი 46), შირერი

მწვრთნელი: გრემ სუნესი

გაფრთხილება: ელიოტი, დანი, კლემენსი, ბათი, სევიჯი

მსაჯი: ვეი

29 021 მაყურებელი

ჩელსი 1:0 ლივერპული

1:0 კოული (64)

ჩელსი: პ. ჩეხი, პ. ფერერი, ტერი, რ. კარგალი, გალასი, სმერტინი (ტი-აგუ 85), ლამპარდი, მაკელეზე, დაფი (ჯერემი 81), დროგბა (ჯ. კოული 38), გუდონსენი

მწვრთნელი: ფრენკ შუტენბერგი

ლივერპული: კირკლანდი, ხოსემი (ბაროზი 71), კარაგერი, პიპია, ჯ. ტრაორე, რიხე, ს. დიაო (პამანი 78), ხაბი ალონსო, კიუელი, ლუის გარსია (ფინანი 78), ჯ. სისე

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გაფრთხილება: კარაგერი

მსაჯი: დოუდი

40 028 მაყურებელი

პრისტალ პალასი — ფულემი

დღეს გაიმართება

მართლაც და როდის უნდა დამთავრდეს ეს ყველაფერი, აინტერესებს ფეხბურთის მოყვარულ ხალხს ინგლისში. როდესმე ალბათ დამთავრდება და მტერიც და მოყვარეც გაუაციცხვით ელის იმ დღეს, როცა „არსენალი“ თავის დაუმა-

რცხებელ სალიგო სვლას შეწყვეტს. დაუმარცხებლობა, რა თქმა უნდა, საინტერესოა, თუმცა, უფრო მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ „მეთიფენი“ იკებენ. დიას, 48 თამაში მოიღია, არსენ ვენგერს არ წაუვია, შაბათს კი მისმა გუნდმა სულ თამაშ-თამაშ გააბურთა „ჩარლტონი“ და კიდევ ერთი კვირით დარჩა მიუწვდომელი ლიდერი, იმის მიუხედავად დაამარცხებდა თუ არა „ჩელსი“ „ლივერპულს“.

„ჩელსი“ კი მეტოქე დაამარცხა, თუმცა გვარიანად იწვალა. გამარჯვების გოლი ჯო კოულმა გაიტანა, ვინც ფრენკ ლამპარდის ჩაწოდებულს დაპკრა. საერთოდ კი კოული იმიტომ იყო მოედანზე, რომ პირველ ტაიმში დიდე დროება დასაგდა და მაურინიუმ კოულით შეცვალა. ამგვარად, „ჩელსი“ დაუმარცხებლად მიდის, ოღონდ „არსენალის“ რეკორდულად ჯერ ძალიან ბევრი უკლია. სამაგიეროდ, რაც მაურინიუმ მივიდა, ჩელსელებს სულ ორი გოლი აქვთ გაშვებული პრემიერლიგის და ჩემპიონთა ლიგის 10 თამაშში.

და ვინ არის მესამე? — როგორც იკითხვდნენ ერთ ქართულ დეტექტივში. მესამე — „ევერტონი“. სასაცილო ამასი არაფერია, რადგან სასახელოა, რომ II მსვლელი, ან ვინდა II ტყისმჭრელი იმას ახერხებს, რომ ქულათა თაღარიგით იყოს მესამე ადგილზე, სასახელოა და მეტი არაფერი. ოღონდაც, ლივერპულს შაქარაღებებს (და ტანად კაი ზორბა შაქარაღები კი გამოიდან) ერთი თავისებურება დაეძინათ: შინ ავებენ და თანაც ჩრდილოლონდონურ გუნდებთან. პირველ ტურში, რა გასაკვირია და „არსენალთან“ დამარცხდნენ, შაბათს კი ახლებურ, მშრალ, მძიმე, მაგრამ აშკარად მოლონიერებულ „ტოტენჰემთან“. ლიონ ოსმანმა სულ ძვლები ალენა სტუმრებს, იმათ კი ერთი მორატყეს კარში და ისიც საუცხოო. „ტოტენჰემს“ სულ 5 გოლი აქვს გატანილი ამ სეზონში, მაგრამ ერთადერთხელ წაუვია და მეოთხე ადგილიც უჭირავს, იმის მოლოდინით, რომ „ევერტონი“ მოიღვება. ოღონდაც, ამ ორის წვალება სულ ტყუილია, რადგან თამაშობით, ამათზე უკეთესი „ბოლტონი“ ჩანს, რომელმაც პირი, საკვირველებაც და „ვესტ ბრომვიჩთან“ წაუვო, რაც იმის ბრალი თუა, რომ „პოთორნსელთა“ ბოსის, გარი მეგსონის თავზე შავმა ღრუბლებმა მოიყარა თავი. დიას, მერვე ტურის თავზე მესამე საფეხურზე სწორედ „ბოლტონი“ უნდა ყოფილიყო, მაგრამ პატარა საფეხურითა დმერთებმა სხვანაირად განსაჯეს და ნეაკვი კანუსა და ზოლტან გერას თავფეხის დახმარებით სეზონში პირველი გამარჯვება აჩუქეს „ვესტ ბრომს“.

ხალხი „პოპოს“ უწოდებს „პორტსმუთს“, რაც უნდა ნიშნავდეს გარეგნულ მოხდენილობას სხვანაირად რომ ვთქვათ, საგარეოდ ჩაცმულ, მთლიანად

როუნდალი 7 1 1 5 9:22 4

გრააფსხაბი 7 0 3 4 7:16 3

II ღივიზიონი. VII ტური

აპელდორნი — ოსი 4:1; სიტარდი — ვოლენდამი 2:3; იგლსი — ემენი 3:0; ჰელმონდი — ექსელსიორი 1:1; ჰერაკლესი — ჰაარლემი 0:4; სპარტა — ზოლდე 1:1; ტელსტარი — ვამბური 1:0; ვენდამი — მასტრისტი 2:3; ვენლო — ეინდჰოვენი 5:2

თურქეთი

სუპერლიგა. VIII ტური

ანკარა — გალათასარაი 0:2; რიზე — მალათია 0:1; ანკარაგოჯუიუ — გაზინთეფი 2:1; დიარბაქირი — საქარია 1:0; ფენერბაჰჩე — დენიზლი 2:0; ისთანბული — ქაისერი 2:0; კონია — გენჩლერი 3:2; სამსუნი — სეზოთი 3:0; ტრაბზონი — ბუშქიფთაში 1:0

ფენერბაჰჩე 8 7 1 0 20:6 22

ტრაბზონი 8 7 1 0 19:5 22

გალათასარაი 8 6 1 1 16:8 19

მალათია 8 5 1 2 17:10 16

დენიზლი 8 5 0 3 12:10 15

გაზინთეფი 8 4 2 2 11:9 14

რიზე 8 3 3 2 9:5 12

ანკარაგოჯუიუ 8 3 3 2 7:7 12

სამსუნი 8 3 2 3 13:11 11

ანკარა 8 3 2 3 13:14 11

კონია 8 2 4 2 12:17 10

დიარბაქირი 8 2 3 3 8:10 9

გენჩლერი 8 2 2 4 9:11 8

ბუშქიფთაში 8 1 3 4 12:14 6

ისტანბული 8 1 2 5 6:15 5

სეზოთი 8 0 3 5 8:20 3

ქაისერი 8 0 2 6 5:17 2

საქარია 8 0 1 7 5:15 1

ავსტრია

გაუსპუნსლიგა XI ტური

მატირსბურგი — შტურმი 1:1; ადმირა — აუსტრია 0:5; გრაცერი — ტიროლი 2:1; რაბიდი — ბრეგენცი 2:1; პაზინგი — ზალცბურგი 2:1

აუსტრია 11 7 3 1 28:6 24

რაბიდი 11 7 3 1 23:10 24

პაზინგი 11 6 1 4 19:16 19

გრაცერი 11 6 1 4 13:11 19

ზალცბურგი 11 4 3 4 16:15 15

ადმირა 11 5 0 6 17:17 15

ტიროლი 11 4 3 4 13:15 15

მატირსბურგი 11 3 2 6 14:19 11

შტურმი 11 2 2 7 6:15 8

ბრეგენცი 11 1 2 8 10:35 5

გეორგია

იუპილარლიგა. VIII ტური

განტი 2:1 ოსტანდუ

1:0 კონიკი (5), 1:1 ნიუსი (44), 2:1 ვრანენი (58)

ანდარლესტი 5:2 სარკლ ბრიუბე

0:1 დესტეტი (8), 1:1 ვილჰელმონი (20), 1:2 როია (24), 2:2, 3:2 ზეტერბერგი (293, 32), 4:2 ლოვრე (62), 5:2 იაშუკი (85)

პაირსსოტი 1:2 ლოკარანი

0:1 დუშ სანტუში (75), 1:1 მესუდი (78), 1:2 პენდრიკესი (85)

მონსი 1:2 ბრიუსალი

1:0 გუსე (42), 1:1 კულევი (53), 1:2 სენიფერსი (74)

სინტ ტრუიფანი 2:2 შარლერუა

1:0 კალისა (24), 1:1 ბანგურა (75), 1:2 სანტოსი (80), 2:2 დე კოლარი (82)

ჰავერანი 2:0 ლიარსი

1:0 ნე (41), 2:0 რომარინი (61)

სტანდარდი 2:0 მუსპორნი

1:0 ბანგურა (43), 2:0 ვალასიაკი (49)

ვისტარლო 0:2 ლუპი

0:1 ჯებური (58), 0:2 ესპარტურო (71)

ბრიუსე 1:1 ბენაი

0:1 კაკა (18), 1:1 გოზდენოვიჩი (36)

ბრიუგე 8 6 2 0 22:4 20

ანდერლესტი 8 6 0 2 19:9 18

ლუვიე 8 5 1 2 15:7 16

გენტი 8 5 0 3 10:12 15

ლოკერენი 8 4 2 2 11:8 14

სტანდარდი 8 4 2 2 11:8 14

შარლერუა 8 4 1 3 10:11 13

გენტი 8 3 4 1 7:6 13

მუსპორნი 8 3 2 3 9:8 11

ვისტარლო 8 3 2 3 9:11 11

სერკლი 8 3 1 4 12:19 10

ბეერსოტი 8 3 0 5 10:9 9

ბევერსი 8 2 3 3 8:8 9

ლიერსი 8 2 1 5 9:13 7

ბრიუსელი 8 2 1 5 7:14 7

სენტ ტრუიფანი 8 1 3 4 5:11 6

მონსი 8 1 2 5 7:13 5

ოსტენდ 8 0 3 5 7:17 3

II კლასი. VIII ტური

დესელი — აალსტი 1:1; დანცე — სენტ ჟილი 1:1; ეუპენი — გელი 2:3; ჰელსდენი — ვარეგემი 1:2; ვიგორი — ანტვერპენი 1:1; კორტრაიკი — ვასლანდი 1:0; რონსი — ვორტონი 1:0; ტუბიცი — რუხელარე 0:2; ვიზეტი — პატრო 2:2

საბარკანო

მროპსული ლიგა. III ტური

კერკერა — ოფი 1:1; ხალიფონა — კალითეა 4:2; ერგოტელისი — არისი 1:1; პაოკ — ირაკლისი 1:0; ქსანთი — ოლიმპიკოსი 2:1; აპოლონი — პანათინაიკოსი 0:1; ეგალო — იონიკოსი 1:0; აეკ — პანიონოსი 2:0

პანათინაიკოსი 3 3 0 0 7:1 9

აეკ 3 2 1 0 5:1 7

ეგალო 3 2 1 0 3:1 7

ხალიფონა 3 2 0 1 5:3 6

ქსანთი 3 2 0 1 6:5 6

ოლიმპიკოსი 3 2 0 1 4:3 6

ირაკლისი 3 2 0 1 2:1 6

პაოკ 3 2 0 1 2:2 6

კალითეა 3 1 0 2 6:6 3

პანიონოსი 3 1 0 2 2:3 3

იონიკოსი 3 1 0 2 2:4 3

აპოლონი 3 1 0 2 1:3 3

ოფი 3 0 1 2 1:3 1

არისი 3 0 1 2 2:5 1


კერკერა 3 0 1 2 1:4 1

ერგოტელისი 3 0 1 2 1:5 1

ფინეთი

კალაბრიდან მილანელები

ჯანარო გაბაუო: ჰაყურაზ მალდინის და ჰგობილები



რინოსთან საუბარი ყოველთვის ძნელია, ამბობს იტალიელი ჟურნალისტი დომინიკ ანტონიონი. თურმე რაში ყოფილა საქმე: ის კი არა, რომ გატუზო ვერ ლაპარაკობს ან ბრტყელ-ბრტყელი, უშინაარსო სიტყვების თქმა იცის. არა, უბრალოდ თურმე რა ენერგიაც მოედანზე აქვს, ის ენერგია აქვს ცხოვრებაშიც — თავისი საფეხბურთო სკოლა; მიზნები; ძმაკაცები, რომლებიც თან ძმაკაცები არიან და თან ბიზნესშიც მონაწილეობენ; ნათესაობა კალაბრიიდან მილანელოს საწვრთნელ ცენტრამდე... ბიჭი ხარ და ხუთ ნუთზე მეტხანს დააბი სალაპარაკოდ. ერთი სიტყვით, სალაპარაკოდ დაუფდები და... ჯერ ერთი, მაგიდასთან მის გარდა კიდევ დაახლოებით რვა სული გიზის, მერე კი მობილური ურეკავს ნუთში სამჯერ.

მაშ ასე, ჯენარო გატუზო იმ „მილანის“ ერთ-ერთი ნამყვანი წევრია, რომელმაც 2003-ში ჩემპიონთა ლიგა და იტალიის თასი მოიგო, 2004-ში კი სკუდეტოს მფლობელი გახდა

— რინო, სკუდეტო მოსალოცი საქმეა და ნაგვიანვად, მაგრამ გილოცავთ, ოღონდ ერთი შეკითხვა გვაქვს. რატომ არ იზეიმეთ ჩემპიონობა „რომას“ დამარცხების დღეს, როდესაც ფაქტობრივად ყველაფერი გადაწყდა?

— მართლაც უცნაური რამ მოხდა. მახსოვს, 1996 წელს — მაშინ „მილანში“ არ ვთამაშობდი — რა ზეიმი იყო. იტალიის დროშების ფრიალი, მოედნის გარშემო ფეხბურთელების ტრიუმფალური წრეები და მაურო ტასოტის გაცილება, ტაში და ოვაცია. ახლა კი ასე არ იყო. ალბათ, იმიტომ, რომ „რომას“ ქომაგებმა თამაშის დროს მოედანზე მამხალეები დაგვიმინეს. მანამდე, ჩემპიონთა ლიგაში, ლა კორუნიაში შევრცხვით და ზოგადად მანამდევე ივრძობოდა, რომ სკუდეტოს ჩვენ მოვიპოვებდით.

— თავად ახსენეთ ის საშინელი თამაში „რასლორზე“. რა მოხდა?

— ნეტავ იცოდეს რომელიმე ჩვენგანმა... მოედანზე ზუსტად ისე გავდივართ ხოლმე, ვაპირებდით თამაშის ტემპი და ინტენსივობა ჩვენ გვეკარნახა, მაგრამ დაიწყო შეხვედრა, „დეპორტივო“ პირველი წამიდანვე შემოგვიტია და აღარ მოგვეშვა. ორი პასი ვეღარ გადავაბით, სამი გოლი ვაჩუქეთ მასპინძლებს. ჯერ იყო და პაოლო მალდინი შეცდა, მერე დიდამ ვერ გამოთვალა ნახტომის წამი და ბოლოს ნესტა არ ჩაერია საქმეში. მითხარი, ერთი, ეს სამი ადამიანი სერი A-ს თამაშებში როდის იყო შეცდომებს უშვებდა? ყველაფერი იმ ერთ სადამოს მოხდა. მოკლედ, სამარცხვინო იყო, მაგრამ მომავალ სეზონში გამოვასწორებთ.

— იმ მატჩის შემდეგ რას გრძნობდით?

— ასე შეურაცხყოფილად ადრე თავის არასდროს მიგრძენია, თან წინა წლის გამარჯვებულები ვიყავით და აი, როგორ გამოგვაგდეს შეჯიბრებიდან. დღეს რომ ვიხსენებ, არ ვიჯერებ, მით უფრო პირველ შეხვედრაში 4:1 გვექონდა მოგებული. მერე რომ ვუყურე, ეს „დეპორტივო“ „პორტუგა“ მხოლოდ ერთი გოლით როგორ გამოგადო, ვერ აღვიწერთ რა გრძნობა მომერია. ვინ იცის, იქნებ სწორედ პირველი თამაშის ანგარიშმა მოგვატყუა და თავი უკვე ფინალში წარმოვიდგინეთ, რადგან შედარებით სუსტი წყვილის „ლიონსა“ და „პო-

რტუს“ შორის გამარჯვებული უნდა შეგვხვედროდა ნახევარფინალში. არადა, ძალიან მინდოდა კიდევ ერთხელ მეთამაშა საკონტინენტთაშორისო თასზე.

— მოკლედ, დაცდა მოგიხდათ.

— ფაქტია, რომ ამ სეზონში აქცენტს ჩემპიონთა თასზე გავაკეთებთ. ჩვენ ვიცით, რომ მიყოლებით მოვივით ლიგა და სკუდეტო, რაც იტალიაში არავის გაუკეთებია, მაგრამ უფრო მთავარი აი, რა არის: დახეთ, მაშინდელი წლის შესაძლო ტიტულებს: ევროპის სუპერთასი, საკონტინენტთაშორისო თასი, იტალიის სუპერთასი და კლასიკური ტრიო: ლიგა, სკუდეტო და იტალიის თასი. ექვსი ჯილდო ერთი ამოსუნთქვით. ამ ვანილობებს რომ მოიპოვებ, თავს განსაკუთრებულ კაცად ივრძობ. ამ ექვსეულს კვლავ უნდა შევუტოთ.

— საკონტინენტთაშორისო თასი „მილანისთვის“ ხომ განსაკუთრებით იდებლიანი არ გამოდგა...

— ეს უიღბლობა პირველად ბილი კოსტაკურტას პენალტის დროს ვიგრძენი, მივხვდი, რომ იმ ჯერზე არაფერი გამოგვივიდოდა და შემდეგ შესაძლებლობას უნდა დავლოდებოდით.

— და იქნებ იმ დღეს კაპიტანი თქვენ იყოთ კიდევ.

— მეეჭვება. პაოლო ჯერ მოედანზე იქნება, ყოველი ბურთისთვის იბრძობებს და გუნდს ისევ სხვებზე მეტ სარგებელს მოუტანს. აი, ნამდვილი დიდი ფეხბურთელი, აი, ყველასთვის მაგალითი. ხშირად ვკითხულობ, რომ მეომარი ვარ და გუნდისთვის გულსა და სულს არ ვიშურებ, მაგრამ მერწმუნეთ, როდესაც მოედანზე პაოლოა, ვგიჟდები. ეს პნ წლის კაცი სადღაც უწყვეტ ენერჯის პოულობს. წარმოდგენა არ მაქვს, როგორ აკეთებს ამას. როდესაც ვხედავ ამ ყველაფერს, ვგრძნობ, რომ ჩემი მოწადინება და ძალაც ორმაგდება, რათა მას არ ჩამოვრჩე.

— მოდი, ისევ სკუდეტოზე ვისაუბროთ. ცხადია, „მილანი“ ამ ჯილდოს იმსახურებდა, მაგრამ, როგორ ფიქრობთ სად და რატომ მოიგეთ ეს ტიტული?

— ფაქტია, ჩვენ სხვა გუნდებზე ძლიერი ვიყავით. უკლებლივ ყველა ძლიერ მეტოქეს, ყველა კონკურენტს მოვუგეთ. ერთადერთი „იუვენტუსთან“ ვითამაშეთ 1:1. წინა სეზონში ჩემპიონთა ლიგის მოგების შემდეგ ჩვენ ვიგრძენით, რომ უსასრულო შესაძლებლობები გვაქვს და ალბათ, ამიტომაც აღარ დაგვკარგეთ ქულები შედარებით სუსტ მეტოქეებთან. უბრალოდ ვი-



ცოდით, რომ სხვებს ვჯობდით და აღარ ვავებდით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი იყო, რომ ძირითადი ბირთვი ძლიერ არ შეცვლილა, მხოლოდ კაფუ, პანკარო და კაკა დაგვემატნენ და სამივენი იოლად შეერწყნენ გუნდს. გარდა ამისა, ჩვენი მთავარი მეტოქე (იგულისხმება „ინტერი“) ოთხჯერ დავამარცხეთ, ორჯერ ჩემპიონატში და ორჯერაც თასზე. ერთი სიტყვით, ვერავინ უარყოფს, რომ ამჟამად საუკეთესონი ვიყავით.

— მოდი, კაკაზეც ვთქვათ. მან ნამდვილად გაგვაოცა ყველანი.

— ეჭვი არ არის, რომ ფენომენალური ფეხბურთელია. დავაზუსტებ, ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ ადამიანზე, ვინც ერთ ან ორ წელიწადში მსოფლიოში საუკეთესო გახდება. მისნაირად მოედნის გადაკვეთ პასს უბრალოდ ვერავინ აწვდის, გოლის გასატანად მატარებელივით მიიწევს და განსაკუთრებულად არტყამს კარში. იცით, პირველად რომ ვნახე, დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია — გა-

პრანჭულად ეცვა, სათვალე ეკეთა და ძალიან გამხდარი მეჩვენა. ერთი სიტყვით, ვიფიქრე, რომ განებივრებული ვინმე ბრძანდებოდა და ბატონკაცურად ქცევას დაიწყებდა, მაგრამ ორ დღეში შემეცვალა შეხედულება.

— და რივადღაც ამიტომ გაუშვეს, ხომ? ელოდით, რომ რივადღოს თქვენს გუნდში ასე მოეცვებოდა ხელი?

— იცით, სულ შებოჭილი იყო, ცალკე იღვა, ჩვენში არ გარეულა. არა, იმის თქმა კი არ მინდა, რომ მოედანზე არ იბრძოდა, უბრალოდ გუნდის ყოველდღიურ ცხოვრებაში არ მონაწილეობდა. წესიერად ვარჯიშობდა, ყველას მიმართ კორექტული და კოლეგიალური იყო, მაგრამ თავისი გარემო, სამეგობრო ვერ ნახა. ეს ძალიან უცნაური იყო და სამწუხაროც, რადგან ვარჯიშებზე მისი შესრულებით ბევრი ისეთი რამ ვნახე, რაც ადრე არასდროს მენახა.

— აბიატო, ამბროზინი, რუი კოშტა და შიმინი კი, ფაქტობრივად, მთელი სეზონის განმავლობაში სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ. რას ფიქრობთ ამაზე?

— ეს კლუბის საქმეა. ვალიანი და არიელი ბრადია პროფესიონალები არიან, ხელფასებს არასდროს ავგინებენ და ყველა ღონეს ხმარობენ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება მოწყობილი რომ იყოს. მოკლედ, ფეხბურთელს საწუწუნო არ უნდა ჰქონდეს. თქვენ ვინც ჩამოთვალეთ, ნაკრების ფეხბურთელები არიან და მოუხედავად იმისა, რომ სკამზე სხედან, მაინც „მილანში“ სურთ ყოფნა.

— და სილვიო ბერლუსკონი?

— ის უნიკალური პრეზიდენტია. როდესაც გელაპარაკება, ამას იმიტომ არ აკეთებს, რომ ასეა საჭირო. მან იცის როგორ აგრძნობინოს ადამიანს მისი მნიშვნელოვნება.


— ანწლოტი?

— ზოგი ჩვენგანი კარლეტოს ეძახის და ეს ნორმალურია, რადგან მალდინი და კოსტაკურტა მისი თანავუნდელები იყვნენ. ის არ არის მარჩელო ლიპისავით მკაცრი უფროსი, ის მეგობარია და მე თუ მკითხავთ, დიადი გუნდის ლიდერი ასეთიც უნდა იყოს.



ბოისა ყველას გვაპირთიანებს

ორმა მართვალმა ერთს სლოვენის სუპერთასი მოუპოვა




ვლადიმერ ბოისა და დავით უგრეხელიძე მოედანზე მეტოქეები, მოედანგარეთ კი მეგობრები არიან

შაბათს სლოვენის სუპერთასი გაიმართა და ორივე მონაწილემდევე გუნდში ქართველებს ჰქონდათ დებიუტი — ლიუბლიანის „ოლიმპიაში“ მანუჩარ მარკოიშვილს, „პიოვარნაში“ კი დავით უგრეხელიძეს. თუმცა იყო მესამე ჩვენებურიც, ვლადიმერ ბოისა, რომელმაც თანამემამულეებზე კარგადაც ითამაშა და მოედანზე მყოფ ყველა დანარჩენზეც — ლიუბლიანელებს ღირსეულად უკაპიტნა და „ოლიმპიას“ სეზონის პირველი ტიტულიც მოაგებინა. მაშ ასე, სლოვენიაში სეზონი „ქართული დერბით“ გაიხსნა და ამ მოვლენის თანმდევ ამბებს მისი მონაწილე მანუჩარ მარკოიშვილი გვიამბობს ლიუბლიანიდან...

— სეზონი კარგად დაიწყო „ოლიმპიასთვის“ — სუპერთასი ჩვენია!
— „ოლიმპიასთვის“ კი კარგად დაიწყო, მაგრამ შენთვის? შაბათს დებიუტი გქონდა...
— ეს იყო ჩემი პირველი ოფიციალური მატჩი „ოლიმპიაში“ და დებიუტით მთლად კმაყოფილი არ ვარ. შეცვლაზე შესულმა მწვრთნელის იმედი ვერ გავამართლე და მალევე დავტოვე მოედანი. მოკლედ რომ ვთქვათ, დებიუტი ჩამივარდა, მაგრამ ამაზე არ ვნერვიულებ.
— რა გაძლევს დამშვიდების უფლებას?

— აბა, ახლა ამაზე რომ ვიფარდო, ეს რა მომივიდა, როგორ ვერ ვითამაშე-მეთქი, მომავალ მატჩებში უარესად წამივა საქმე. კალაბურთიელობა მხოლოდ სირბილი, ალდო და სიზუსტე არაა. თუ ფსიქოლოგიურად არ ხარ ძლიერი და ემოციებს ვერ აკონტროლებ, ყოველთვის გაგვიჭირდება. ახლა აღარც ვფიქრობ „პიოვარნასთან“ თამაშზე და ადრიატიკის ლიგის დაწყებას ველოდები.
— კი მაგრამ, ახლა რომ თავი გამოგვიჩინა, მომავალ მატჩებში მეტ სათამაშო დროს დაიმსახურებდი...
— აქამდე საკმარისად დავუმტკიცე მწვრ-

თნელს, რომ თამაში შემძლია. მართალია, ვიბრძოდა, „პიოვარნასთანაც“ გამომჩინა თავი, მაგრამ ეს რომ ვერ მოვახერხე, ბევრიც არაფერი დამიკარგავს. „ოლიმპიას“ მწვრთნელი ძალიან კარგი თვალთ მიყურებს და დღეს თუ ვერ ვიყონადებ, ხვალაც მომცემს თავის გამოჩენის საშუალებას.
— თქვენი აქამდეც დავუმტკიცე მწვრთნელს ჩემი შესაძლებლობებიო. რას გულისხმობდი?
— ამხანაურ მატჩებს, რომლებშიც ძალიან კარგად ვითამაშე არა, კარგი თამაში კი ვიცი რაცაა, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ „ოლიმპია“ არაა „მიტელდოინერი“ — სადაც წინა სეზონი გავატარე. ეს გუნდი გაცილებით ძლიერი და შეძლებულია. თანაც სპარინგ-მეტოქეებიც საკმაოდ ძლიერები იყვნენ — იტალიური „სნაიდერი“, მოსკოვისა და ზაგრების „დინამობი“... სულ ოთხი ამხანაური მატჩი ვითამაშეთ და მოედანზე საშუალოდ 25 წუთს ვიყავი. შედეგადაც ნორმალური მქონდა, ხუთეულშიც ვიწყებდი ხოლმე. მოკლედ, „პიოვარნასთან“ მატჩს საკმაოდ კარგ ხასიათზე შევხვდი, მაგრამ...
— სუპერთასის ფინალში დანარჩენებმა რა ქნეს?
— ჩვენთანზე მეტიოხები, რა თქმა უნდა. „პიოვარნაში“ უგრეხელიძემ ჩემზე გაცილებით უკეთ ითამაშა, მაგრამ როგორც მატჩის შემდეგ შევატყვე, კმაყოფილი არც ის დარჩენილა. დათოს ხუთეულში არ დაუწყია, მაგრამ ხშირად შედიოდა მოედანზე, რამდენიმე საჭირო ბურთიც ჩაგვივლო. აი, ბოისამ კი ძალიან მაგრად ითამაშა და „ოლიმპიას“ გამარჯვებაშიც ლომის წილი უდევს. ვოვამ, კაპიტანს რომ შეშვენი, ისე ითამაშა. აღარ მახსოვს, რამდენ-



ვლადიმერ ბოისა

ნი ქულა გააკეთა, ალბათ ოცზე მეტი...
— სუპერთასის მოგება როგორ აღნიშნეთ?
— მოკრძალებულად. რამე განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, არც ბანკეტი გადავიხდით. მოვიგეთ, დარბაზში ვიზიქეთ და დავიშალეთ. საზეიმოდ აქ ჯერ არავის სცალია, ახალი სეზონისთვის გამალებით ვემზადებით.
— გუნდს როგორ შეეწყვე? უკვე საკმარისი დრო გავიდა...
— ყველაფერი ძალიან კარგადაა. ოლიმპიელებს მოედანზეც მშვენივრად ვუვებ და მოედანის გარეთაც. ძალიან კარგი ბიჭები არიან, ეგაა, იმდენი თავისუფალი დრო არა მაქვს, რომ მათთან ვიყო. არაერთს დავუახლოვდი და უკვე ვმეგობრობ. ისე, სადაც ბოისაა კაპიტანი, იქ არ შეიძლება, მეგობრული ატმოსფერო არ სუფევდეს. ვოვა გუნდის მოტორია, როგორც მოედანზე, ისე ურთიერთობებში. მასთან არასდროს მოიწყენ, ყველას ძალიან უყვარს. ბოისა გუნდს აერთიანებს.
ირაკლი ბერტანი

ათენის ოლიმპიადებზე არაერთი ნბა-ს ვარსკვლავი ბურთაობდა, მაგრამ კალათბურთის მოყვარულთა მეხსიერებას ლიტველი შარუნას იასიკევიჩუსის თამაში უფრო შემორჩებოდა, ვიდრე, ვთქვათ, მუხარე ტიმ დანკანისა. იასიკევიჩუსი რომ ევროპის უძლიერესი გამთამაშებელია, საკამათო არაა. მან წლეულს ევროლიგა თელ ავივის „მაკაბის“ პირადად მოაგებინა


— ისეთი ჯადო-ბურთები ყარა საკვანძო მომენტებში, ნებისმიერ ნბა-ელს შემურდებოდა. პოდა, არცაა ვასაკვირი, რომ მთელი ქვეყანა მის ოკეანგაღმა გადაბარგებაზე ლაპარაკობს და ეს ყურნალისტიც, ხორხე სიერა, საინტერვიუოდ რომ მიუხედავია იასიკევიჩუსი, ცდილობს, მისი მომავალი ნბა-ური გუნდის ვინაობა დასტყუოს...

ამერიკას ამერიკისა უარუნას იასიკევიჩუსი კი ჯერ ევროპაში რჩება

— როგორ შეაფასებდით ოლიმპიადებზე ლიტვის ნაკრების თამაშს?
— ცოტა არ იყოს, მწარედ მახსენდება ოლიმპიადებზე. უფრო კი ბოლო ორი მატჩი, რაკი ძალიან ცუდად ვითამაშეთ და კარგად დაწყებული საქმე ჩავაფლავეთ. არადა, თავიდან ისეთი სისწრაფე ავკრიფეთ, ბევრი ჩვენს ჩემპიონობაზე ფიქრობდა, მაგრამ იმდენი გავაცრუეთ.
— ბოლო ორ მატჩში რატომ არ გამოვივიდათ თამაში?
— ვერ გეტყვით, არ ვიცი, რა მოგვივიდა. ეს არ იყო ის, რასაც ჩვენ ვთამაშობთ, უბრალოდ, არაფერი გამოგვივიდა.
— ოლიმპიადებზე თქვენი თამაშით კმაყოფილი დარჩით?
— დიახ, მთლიანობაში კმაყოფილი დავრჩი. არავის არ შეუძლია ერთ დონეზე კარგად თამაში და მეც მქონდა მცირე ხარვეზები.
— რას ნიშნავს პირადად თქვენთვის ამერიკის ნაკრების დამარცხება? იყო ეს რიგითი მოგება, თუ რამე სხვა, უფრო მნიშვნელოვანი?
— არა, უბრალოდ გამარჯვება როგორ იქნებოდა, ეს გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ერთი მატჩის მოგება. ჩვენ დავამარცხეთ ნაკრები, რომელშიც მსოფლიოს საუკეთესო კალათბურთელები თამაშობდნენ. უზო-

მოდ გავიხარე, „დრიმ თიმს“ ჯგუფში რომ მოვუგეთ და ძალიან იმედგაცრუებული ვიყავი, მესამე ადგილისთვის მატჩი რომ დავთმეთ ამერიკელებთან. ნბა-ს ნაკრებთან რომ მარცხდები, ვერაფერს გავამტყუნებ და არც ჩვენ ჩამოვუშვებდით ცხვირს, მაგრამ ამერიკა მანამდე რამდენიმე დღით ადრე დაგვემარცხებინა და იმიტომ განვიცადეთ.
— ვინმეს ზომ არ გამოარჩევდით ამერიკელებთან?
— ვერაფერს გამოვარჩევი, ისინი ერთმანეთზე კარგები არიან.
— თქვენ სტივენ მარბერი გმეურვეობდათ. თვლით თავს მისი და სხვა ნბა-ელების დონის მოთამაშედ?
— არა, მე მათი სწორი არ ვარ. შესაძლოა, მათ კარგად ვერ ითამაშეს ოლიმპიადებზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი საუკეთესო არ არიან.
— თქვენ „მაკაბისთან“ გაკავშირებთ კონტრაქტი, თუმცა ამბობენ, თითქოს ნბა-ს კლუბთანაც გაგიფორმებიათ ხელშეკრულება...
— არა, მე მხოლოდ „მაკაბისთან“ მაქვს კონტრაქტი.
— გრეგ პოპოვიჩმა ოლიმპიადებზე თქვა, რომ „სან ანტონიო“ ცდილობს თქვენს შემატებას. იყო რამე სერიოზული?

— სერიოზული არაფერი ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, მე არ გამივიდა.
— ოდესმე ყოფილხარ ახლოს ნბა-ურ კონტრაქტთან?
— არასდროს. ვფიქრობ, სერიოზული შანსი არ ჩამვარდნა იმისთვის, რომ ნბა-ს გუნდში გადავსულიყავი.
— ამბობთ, ნბა-დან შემოთავაზება არ მივიღიათ. ალბათ მიიღებთ და დაახლოებით როგორი კონტრაქტი დაგაკმაყოფილებთ?
— ისეთი, რომელიც კარგი იქნება.
— რაზე გაამახვილებთ ყურადღებას — ფულზე, კლუბის სიმდიერეზე, სათამაშო დროზე...
— ცოტა-ცოტა ყველაფერზე. ისე, ვერაფერს ვერ მოგცემს ხანგრძლივი თამაშის გარანტიას. ჯერ უნდა ჩაზევიდე, აჩვენო, რა შეგიძლია და თავად დაიმსახურო მოედანზე ყოფნის უფლება.
— რას ფიქრობთ, როცა ნბა-ში გადმოდიან ისეთი მოთამაშეები, რომლებსაც ჯერ ევროპაშიც კი არ დაუმტკიცებიათ თავიანთი ძალი, ხოლო თქვენსავით გამოცდილი კალათბურთელები კი ბებერ კონტინენტზე რჩებიან?
— ეგ არ მალეღვებს. ალბათ კლუბებს თავიანთი გეგმები აქვთ და ვისაც შეარჩევენ, იმათი სჯერათ.



— ფიქრობთ, რომ კოლეჯის კალათბურთის თამაში უფრო ზრდის ნბა-ში მოხვედრის შანსებს?
— ვერაფერს გეტყვით. შეიძლება ზრდის, შეიძლება არა. ისე, ნიჭი არ იკარგება.
— რას იზამთ მას შემდეგ, როცა „მაკაბისთან“ კონტრაქტი ამოგეწურება?
— ახლა მაგაზე არ ვფიქრობ, რადგან წინ მთლიანი სეზონია და ასეთ შორსმომავალ გეგმებს არასდროს ვაწყობ.
— თელ ავივში როგორ გრძნობთ თავს? ეგებ ბარსელონაში უფრო კომფორტულად ცხოვრობდით?
— თელ ავივში არაფერი მაკლია და აქ ნამდვილად ბედნიერად ვგრძნობ თავს.
— ბოლო ორ სეზონში ორჯერ მოიგეთ ევროლიგა: ჯერ „ბარსელონაში“, ახლა კი „მაკაბისში“. ახლა რაღას უმიზნებთ?
— მინდა, იგივე გავიმეორო.



საპარტიზოს ჩაპოინატი. პირველი წრე. V ტური

ლელო დათვებს მოგება გააგდებინა

ლელო 20:19 დათვება

ლელო: სანიკიძე, ცერცვაძე (კვიციანი), ქუბრაშვილი, კობალაშვილი, გორგოძე, ს. მჭედლიშვილი, სარდანაშვილი, ვალიშვილი; კვიციანიშვილი, ბარკალაია, ქობულაშვილი, ყიასაშვილი, გ. მჭედლიშვილი, ჯამრულიძე, ზაალიშვილი

3 ლელო: სარდანაშვილი, ბარკალაია, ჯამრულიძე

1 მარდასახმა: კვიციანიშვილი

1 საპარტიზო: ყიასაშვილი

დათვება: ლლონი, გურუშიძე (მოქია), ნულუკიძე, ბერიძე, კუნჭულია, გუგუშვილი, ხალოშია, გაბუნია; ხელაძე, დავლაძე, ბ. ვეგენიძე, ხონელიძე, სულამანიძე, გ. ვეგენიძე, ს. ვეგენიძე

3 ლელო: ბერიძე, ლლონი, ჯგუფური

2 მარდასახმა: გ. ვეგენიძე

ლოკომოტივი 36:15 ყოჩაბი

აია — პაპაძეში გადამდო

ლელო მგელაძის გაწვრთნილმა „დათვებმა“ საკბილო ტორებიდან გაუშვეს და მოგებული თამაშის დათმობასთან ერთად, ცხრილში გალიდურების შანსიც დაკარგეს. ნამატჩევს მსაჯებზე გაწიწვრთნის მიუხედავად, „დათვებმა“ მარცხის მიზეზები ალბათ მაინც უფრო ახლო უნდა ეძებონ. 66-ე წუთისთვის ისინი 19:8 იგებდნენ, მაგრამ „ლელოს“ საფინანსო შტურში ემცხეთათ: ჯერ თბილისელთა 20 წლის გამოამაშებელმა ოთარ ბარკალაიამ მიხვეულ-მოხვეული რეიდით იპოვა მისასვლელი „დათვების“ ბუნაგისკენ. შემდეგ კი, მსაჯის მიერ დამატებულ დროში ბათუმელებმა გააფთრებულ მეტოქეს უმარტივესი მარაო გააშლევინეს და ყველაფერიც აქ გადაწყდა. მარჯვენა ფლანგიდან სამი კოხტა პასის შემდეგ „ლელოს“ გარემარბმა ედიშერ ჯამრულიძემ მოიხელთა ბურთი და ათიოდე მეტრი ერთი ამო-

სუნთქვით გაირბინა — 20:19. ბარკალაიამ ორქულიანი გარდასახვა ძელს გაარტყა, მაგრამ ეს არაფერს წყვეტდა — დრო ამოწურული იყო. ეს ყველაფერი მატჩის მიწურულს მოხდა, დაწყებით კი „დათვებმა“ დაიწყო. კარგი თვალსაყვირი ჯახი ნახა ვარკეთილის მეურნეობის ცარიელმა ალაგ-ალაგ ტრიბუნებმა. მოლოწინებელი „დათვები“ სამსეზონო ჩემპიონატში პირველად ჩამოვიდნენ თბილისში და პირველ ტაიმში თქვენი მოწონებული რაგბი გააჩაღეს. თვალმისაცემი იყო მათი უპირატესობა შერკინებაში. მოლოცხომ მძლავრობდნენ და აქი მეორემესამე ლელოები სწორედ ჯიქურ მიწოლით დადეს. „ლელო“ კი პირველ ტაიმში მხოლოდ ჭაბუკი ირაკლი ყიასაშვილის ზუსტ საჯარიმოს გამოჩნა, ხოლო სტუმართაგან როლანდ ბერიძემ და ზედ ტაიმის მიწურულს მინდია ლლონიტმა ხუთქულიანებით იხიერეს — 14:3.

მეორე ნახევარში ლევან მისაშვილის ბიჭებმა ფეხს აუჩქარეს. შერკინებაში რომ დაიჩაგრნენ, ბურთის ხელით სწრაფი გათამაშებები და ფეხით გადაკიდებები აირჩიეს. „დათვების“ ნახევარზე დასახლებამ მალევე მოუტანათ შედეგი: ჭაბუკ მოიერიშე ბექა სარდანაშვილს სანტიმეტრები დააკლდა ლელომდე თბილისელთა იერიში თითქოს ჩაიშალა, მაგრამ აჭარლებმა უხეროდ გადაადგეს ბურთი აუტში, დერეფანი კი იმავე სარდანაშვილმა მოიგო და როგორც იქნა, გაიტანა — 14:3. ლელოელთა პირველი ლელოს შემდეგ ბათუმელებს ორჯერ მიეცათ საჯარიმოს დარტმის უფლება, მაგრამ დიდი თევზის დაჭერა გადაწყვიტეს და მეტოქის სალელევე ხაზთან დანიშნული შერკინება ლელოდ აქციეს — სხვაობა 11 ქულაა. დარჩენილი წუთები კი მთლიანად თბილისელებისა იყო და დასაწყისში მათი ლელოები უკვე ავდწერეთ. თუმცა, მასპინძლებს მანამდეც რამდენჯერმე შეეძლოთ ხუთქულიანის მითვისა: ერთხელ ეროვნულ ნაკრებში თამაშით გამოცდილმა მერაბ კვიციანიშვილმა სასწაული კროსი მოაწყო. მერე იყო ზაზა ვალიშვილისა და მამუკა გორგოძის მიწოლები და ბოლოს, ხაზთან მიჯაჭვული „დათვები“ მაინც გატყდნენ — ჯამრულიძე ფლანგზე გაანავარდეს და... ამ მოგებით ლევან მისაშვილის



ლელოელმა მერაბ კვიციანიშვილმა „დათვებს“ დიდი ჭაფა დააყენა



„ლელო“ ჯგუფური ეტაპის ეკვატორზე ქულებით გაუთანაბრდა „აკადემიას“, თუმცა აკადემიელებს მარაგში თამაში „აიასთან“ აქვთ. ეს შეხვედრა ქუთაისში შაბათს უნდა გამართულიყო, მაგრამ იმერელთა სტადიონს არასტანდარტულ ზომებს უწუნებენ და ჯერ უცნობია, როდის „გამთელდება“ სატურნირო ცხრილი. ტურის კიდევ ერთ მატჩში კი, ზედიზედ სამჯერ დამარცხებულმა

„ლოკომოტივმა“ მალხაზ ჭეიშვილის „ყოჩებზე“ იყარა ჯავრი და ცხრილის ქვედა ნახევარში ადგილი გაუცვალა.

ილია ნანოგაშვილი

აკადემია	4	3	1	0	87:48	7
ლელო	5	3	1	1	150:82	7
დათვები	5	3	0	2	82:57	6
ლოკომოტივი	5	2	0	3	62:80	4
ყოჩები	5	2	0	3	109:115	4
აია	4	0	0	4	35:143	0

პროზა



პაი ასათ მოგებას! უმცროს კლიჩკოს კვლავ წარბი გაუსკდა

ვლადიმირ კლიჩკო მორიგ ამერიკულ წაგებას გადაურჩა: მან ქულებით დაამარცხა დავერლ უილიამსონი ბრძოლაში, რომელიც რეფერიმ მეხუთე რაუნდში შეწყვიტა მას შემდეგ, რაც მოკრივენი შემთხვევით შეასკდნენ ერთმანეთს თავებით და უკრაინელმა ტრაემა მიიღო. კლიჩკომ სულ მცირე უპირატესობით მოიგო. რინგის ექიმმა შეუძლებლად ჩათვალა ბრძოლის გაგრძელება, რაზეც კლიჩკოს მარჯვენა წარბი და შუბლი გადახეთქილი ჰქონდა. ეს სწორედ ის წარბია, ლენოქს ლუისმა რომ დაუზიანა უმცროს კლიჩკოს მის

ბოლო ბრძოლაში. კრივობის შეწყვეტის წამს კლიჩკო ქულებით ოდნავ წინ იყო ორი მსაჯის ქვითრებში, ერთმა კი უილიამსონს მეტი დაუთვალა. ასე რომ, გამარჯვება ვალოდიას დარჩა. უილიამსონი, რომელმაც მოხდენილი მარჯვენათი მეთხე რაუნდში ნოკდაუნი აეგმა უკრაინელს, ცხადია, უკმაყოფილო დარჩა. „საქმე არ გარკვეულა. ჩვენ კვლავ უნდა შევხვდეთ“ — თქვა მან, კლიჩკოს კი ხელახალ ბრძოლაზე არაფერი აღუნიშნავს.

ალბერტ ხაჩატურიანი

ბობრამ ამერიკელებს მარტოში გასულაგაზა

ვილადელშიაში დაფუნებულმა პროფესიონალმა ქართველმა მოკრივემ კობა გოგოლაძემ გუმინ გამთენიისას ნიუ იორკის „მანჰეტენ სენტერში“ გაიქნია მუშტი და რასაკვირველია, „კობრამ“ ისევ მოიგო. იპოლიტე ხეინაისი არ იყოს, გაუჭირდებოდა... ხეინაისს სამარადქამო მოგონება იყოს... გაჭირვებით კი ნაღდად გაუჭირდა კობას. ჩვენებურმა მსოფლიო რეიტინგში 273-ე ადგილზე ჩაკარგული მარტეზ ლოგანი ნოკაუტით ვერ დასცა და 8 რაუნდში ქულებით თუ აჯობა. სამივე მსაჯმა გოგოლაძის „მორცხვი“ უპირატესობა დააფიქსირა — 80:71, 79:72, 78:73. იქამდე კი, მე-7 რაუნდში ჩვენთან რინგზეც კი დავარდა. ქართველი საშუალოწონისანი პროფკარიერაში კვლავ დაუმარცხებელია, მოგება კი უკვე 16 დაუგროვდა. ცაცია „კობრა“ და მისი მეწველი დოკ ნოვიცკიც საჩემპიონო ბრძოლის მოლოდინში არიან, თუმც იქამდე რეიტინგში მე-17 ადგილოსან გოგოლაძეს ალბათ კიდევ ერთი-ორი მეტოქის „გალამაზება“ მოუწევს.

ილია ნანოგაშვილი

ქართული სპორტის ფოტოისტორია

ასე ჰქვია საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ახალ პროექტს, რომელიც ხორციელდება თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის მხარდაჭერით.

შეირჩევა, დამუშავდება, აღინერება და ვებსაიტზე განთავსდება 5 ათასზე მეტი ისტორიული და მხატვრული ღირებულების ფოტო.

სათანამშრომლოდ ვინვეთ ფოტორეპორტიორებს, კერძო კოლექციის მფლობელებს, ძველი და ახალი თაობის სპორტსმენებს, მწვრთნელებს, სპორტის გულშემატკივრებს.

გთხოვთ მოგვანდოთ თქვენს ხელთ არსებული ფოტომასალა და მონადილეობა მიიღოთ ქართული სპორტის ასწლოვანი ისტორიის ფოტოარქივის შექმნაში.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია.
თბილისი, რუსთაველის 42, ტელეფონები: 99 08 22, 99 94 09, 899 90 26 32.

შინისაკენ ჰერი-ჰერი! აბა, სკოლაში არ დადებები არ სრულდება

სანამ ნკლ-ის მამები საქმეებს არჩევენ, უმუშევრად დარჩენილი ჰოკეისტები დროს არ კარგავენ და მეტწილად თვალს ვეროპისკენ უჭირავენ. მას შემდეგ, რაც ლიგაში ლოკაუტი გამოცხადდა, უკვე 150-ზე (!) მეტმა ჰოკეისტმა ევროპის ამა თუ იმ კლუბთან გააფორმა კონტრაქტი, ზოგმა მათგანმა კი უკვე ყინულზე გასვლაც კი მოასწრო.


ლოკაუტის მდინარეზე ბებერ კონტინენტზე რამდენიმე სუპერვარსკვლავიც წაიღო, მაგალითად იარომირ იაგრი, მარკუს ნესლუნდი, ილია კოვალჩუკი, პეტერ ფორსბერგი და ბევრი სხვა. მათი უმეტესობა, ცხადია, ევროპელია და მეტწილად ისინი თავიანთ მშობლიურ კლუბებში თუ ქვეყნებში ბრუნდებიან, სადაც ოდესღაც კარიერა დაიწყო.

იაგრი ჩეხეთში, თავის „კლადნოში“ დაბრუნდა, მიუხედავად იმისა, რომ რუსულ პრესაში დიდხანს ჭორაობდნენ მის ცსკა-ში გადასვლაზე. ზიგმუნდ პალფი პრადის „სპარტაკში“ ითამაშებს, კოვალჩუკი ყაზანში, „აკ ბარსში“ სათამაშოდ ჩავიდა. შედეგის კლუბი „მოლო“ კი უკვე ისე დაკომპლექტდა, რომ

მისი ზოგ ნკლ-ურ კლუბსაც შეშურდება. თავად განსაჯეთ, სადღეისოდ გუნდში უკვე შემოსენებული ნესლუნდი, პეტერ ფორსბერგი, ტყუპი სედინები, ნიკლას სუნდსტრიომი და ტომი სალო ირიცხებიან.

ფორსბერგზე საერთოდ ცალკე უნდა ითქვას. მამინ, როცა პრაქტიკულად ყველა ნკლ-ელმა ევროთა წოდებული დაზღვეული კონტრაქტი გააფორმა, რაც ლოკაუტის დასრულებისთანავე ოკეანის გაღმა დაბრუნებას გული-სხმობს, პეტერმა „მოლოსთან“ სრულყოფილი ხელშეკრულება დადო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი წლეულს ნკლ-ში არავითარ შემთხვევაში არ დაბრუნდება. საქმე ისაა, რომ „მოლოს“ ქალაქ ერნშედსვიკში ფორსბერგის ფულით ახალი, თანამედროვე არენა აშენდა და ცხადია, ის დანერგვებულია, რომ ხალხმა ტრიბუნები რაც შეიძლება მჭიდროდ შეავსოს. ფორსბერგმა უკვე რამდენიმე მატჩი ჩაატარა და გოლებიც კი გაიტანა, თუმც, მისივე თქმით, უკვე გადატანილი ტრავმის გადამკიდვე ჯერ შორსაა საუკეთესო ფორმისაკენ.

საერთო ჯამში ჩეხეთში უკვე 47 „ლეგიონერი“ თამაშობს, შედეგში



პეტერ ფორსბერგი

30, ხოლო რუსეთში 33. ძირითადად ეს ადგილობრივი ჰოკეისტები არიან, თუმც გამოჩენილებიც არსებობს. მაგალითად, რუსეთში კანადელი მეკარე გარტ სნოუ ჩავიდა. ჯერჯერობით კი ევროპაში მხოლოდ 17 კანადელი გადაბარგდა და ყველაზე მოზრდილმა და სახელოვანმა ნაწილმა სათამაშოდ შევიცარია ირჩია. მაგალითად, ერთ შევიცარიულ გუნდ „დავოსში“ ერთბაშად ორი ახალგაზრდა ვარსკვლავი — ჯო ტორნტონი და რიკ ნეში ირიცხება.

ევროპაში ოკეანგადმელთა ახალი დესანტის გადასხმას ვარაუდობენ. ყველაფერი ისევე და ისევე იმაზეა დამოკიდებული, რამდენ ხანს გაგრძელდება ლოკაუტი.

სამხელ ლარიზიანი

ავტორბოლა


მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში XIII ეტაპი იტალია



ნორვეგიელმა პეტერ სოლბერგმა იტალიაში გამარჯვებით საჩემპიონო და საშამპანურო შანსი შეინარჩუნა

რბოლის შედეგები	
1	პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) — 4სთ; 43.47,9
2	სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) — ჩამორჩა 2.07,9
3	კარლოს საინსი (ესპანეთი, სიტროენი) — 3.20,9
4	ანდრეა ნავარა (იტალია, სუბარუ) — 10.16,1
5	ფრანსუა დიუკალი (ბელგია, ფორდი) — 10.48,0
6	ჯანლუიჯი გალი (იტალია, მიცუბისი) — 25.11,6
7	მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეუ) — 26.39,2
8	ანტონი ვარმბოლდი (ვერმანია, ფორდი) — 28.03,2

საერთო ჩათვლა	
1	სებასტიენ ლოები 100 ქულა; 2 პეტერ სოლბერგი 74; 3 კარლოს საინსი 61; 4 მარკო მარტინი (ესტონეთი, ფორდი) 59; 5 მარკუს გრონჰოლმი 49; 6 ფრანსუა დიუკალი 47; 7 მიკო პირვონენი (ფინეთი, სუბარუ) 23; 8 ჰარი როვანპერა (ფინეთი, პეუ) 20; 9 ანე ტუოინო (ფინეთი, ფორდი) 16; 10 ფრედი ლოა (ბელგია, პეუ) 7
კონსტრუქტორთა ტანსი	
სიტროენი 164 ქულა, ფორდი 117, სუბარუ 101, პეუ 80, მიცუბისი 17	



მსოფლიოს ჩემპიონატი. XIII ეტაპი როსი გებერნო წამოიწყო ჰონდას ბალაფონიური ღაღლი

ყაბარის უდაბნოში აგებული სუპერავტოდრომზე, რომელსაც ჩქაროსნული, 12-მეტრიანი სივანის ტრასა და არანაკლებ ფართო დამცავი ზონები აქვს, 31 წლის ესპანელმა სეტე გებერნომ გაიმარჯვა და ისე მიუახლოვდა საერთო ჩათვლაში მეწინავე ვალენტინო როსის, რომ ცოტაც და ლიდერობას ჩამოართმევს. როსი დოჰაში წაიქცა, წლეულს უკვე მეორედ და მისი კომფორტული უპირატესობიდან თითქმის აღარაფერი დარჩა — 14 ქულა რა სუფრაზე მოსატანია, როცა ეტაპის მოგება 25 ქულად ფასობს.

ვალენტინო თავიდანვე დაინავსა. კვალიფიკაციაზე მას და მეორე იტალიელ მაქს ბიაჯის შარი მოსდეს, სასტარტო სწორზე საავარიო სიტუაცია შექმენით და ექვს-ექვსი წამით დააჯარიმეს. შე-

დეგად ორივეს ბოლო რიგიდან მოუხდათ რბოლის დაწყება.

ფანტასტიკური იყო როსის გარღვევა, ისე დაფეთებული გავარდა წინ, რომ პირველივე წრეზე 12 მეტოქეს გაასწრო. მაგრამ ზედმეტი მონდომა და როცა უკვე მეთხე იყო, მოსახვევში შეცდა, მოტორში ოდნავ გადაუჩორდა ბალახში, წაიქცა და მოგებას ვილა დაემტკიცა, კიდევ კარგი, ავარიას მძიმე შედეგი არ მოჰყვა.

ბიაჯიმ ნაკლებად გარისკა და მოგებულს დარჩა — უხეირო პოზიციიდან მეექვსე ადგილი არაფერს ნამდვილად სჯობს.

გებერნომ მეორე წრეზე აუარა გვერდი თანამემამულე კარლოს ჩეკას და ბოლომდე აღარც დაუთმია ლიდერობა. ეს მისი მეცხრე საკარიერო დიდი პრიზია.



ტელეფონიკალი „მემბის“ კოლინ ედვარდსისა და სეტე გებერნოს საპოდიუმზე სიხარული რუბენ ხალსმაც გაიზიარა

ყაბარის დიდი პრიზი. ღრუპა — 5380 მ

მოტო ბრან პრი — 118,4კმ

- 1 სეტე გებერნო (ესპანეთი, ტელეფონიკა ჰონდა) — 44 წთ; 01,7
- 2 კოლინ ედვარდსი (აშშ, ტელეფონიკა ჰონდა) — ჩამორჩა 1,3
- 3 რუბენ ხალსი (ესპანეთი, დუკატი) — 23,8

საერთო ჩათვლა

1 ვალენტინო როსი (იტალია, გალუაზ იამაჰა) 229 ქულა; 2 გებერნო 215; 3 მაქს ბიაჯი (იტალია, ქემელ ჰონდა) 168; 4 ედვარდსი 131; ალექს ბარუმი (ბრაზილია, რეპსოლ ჰონდა) 128

250 სმ — 107,6კმ

- 1 სებასტიან პორტო (არგენტინა, რეპსოლ აპრილია) — 41 წთ; 17,4
- 2 დანიელ პედროსა (ესპანეთი, ტელეფონიკა ჰონდა) — 1,6
- 3 პიროსი აოიამა (იაპონია, ტელეფონიკა ჰონდა) — 43,3

საერთო ჩათვლა

1 პედროსა 254 ქულა; 2 პორტო 211; 3 რენდი დე პონე (საფრანგეთი, კარერა აპრილია) 187; 4 ტონი ელიასი (ესპანეთი, ფორტუნა ჰონდა) 152; 5 აოიამა 119

125 სმ — 96,8კმ

- 1 ზორხე ლორენცო (ესპანეთი, კახა მადრიდ დერბი) — 39 წთ; 11,6
- 2 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, კოპრონ ჰონდა) — 0,001
- 3 ალვარო ბატისტა (ესპანეთი, ზედლორფ აპრილია) — 4,0

საერთო ჩათვლა

1 დოვიზიოსო 228 ქულა; 2 ეტორ ბარბერა (ესპანეთი, ზედლორფ აპრილია) 167; 3 ლორენცო 159; 4 რობერტო ლოკატელი (იტალია, კარერა აპრილია) 156; 5 ჰაბლო ნიგო (ესპანეთი, რეპსოლ აპრილია) 124

შეგალი გოგოები

საბატიო ლეგიონის ორდენები ჭეშმარიტად სამეფო სიუხვით ჩამორიგდა პარიზში, ელისეს სასახლეში, სადაც პრეზიდენტმა უპე შირაკმა საფრანგეთის ოლიმპიელები მიიღო. ტანვარჯიშისა და ცურვის ჩემპიონებმა უძლიერი ლეგენდები და ლაურ მაღუდუმ, ლეგიონის რაინდის წოდება მიიღეს თავის ორდენიანად. ამელი მორესმომაც, რომელიც ოლიმპიადამდე საჩოგბურთო ვერცხლს დასჯერდა, ასევე გაირტყა ლეგიონერობა — „შეგალიე დ'ონორ“ — საუცხოო წოდებაა. ამ სამი კარგი ქალისთვის სომ საერთოდ.




REUTERS პარიზიდან

REUTERS პარიზიდან

იამ მნერალი

ნბა-ს კოლორიტული ჩინელი, იამ მინგი ავტორიც შეიქნა. მისი ავტობიოგრაფიული წიგნი პრეზენტაცია ნიუ იორკში ხალისით წარმართა. წიგნში ვარსკვლავის ჩინურ ბავშვობასა და ამერიკულ კარიერაზეა მოთხრობილი.



REUTERS ნიუ იორკიდან



REUTERS პარიზიდან

ფინიშის კონსა

ჩრდილო იტალიაში მსოფლიოს კელთიქემპიონატი გახურებულა. ინდივიდუალური ვარბენი ავსტრალიელ მაიკლ როჯერსს მოუგია და ფინიშზევე ჩაჰკონებია თავის მიჯნურს, ალესია ანონის. ამბავი კონტა ქალაქ ბარდოლინოშია.

უფლისწული მხვრთნელად

ცელქობა-თაგადასავლებით განთქმული პრინცი ჰარი, ჩარლზის უმცროსი ვაჟი, თავისი უქმობის წლის ექვს კვირას უთლსოლის ერთ სკოლაში ატარებს: რაგბის მწვრთნელის ასისტენტად მუშაობს. უქმობის წელიწადი ბრიტანეთის პრინცებს ცხოვრებისეული გამოცდილების შესაძენად ეძლევათ 19-დან 20 წლამდე.



REUTERS უოლსოლიდან

სარბიელი
საორტული გაზაფხუნი
გამოცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორგანოთს,
სამზაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკეპს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ჳონცხვერია
დირექტორი პიორგი ოქროშაქელიძე
რედაქტორი თაბაჯ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბუქიაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: ერო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაყიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი შირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: ვაია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტორები: გურამ დოღენჯაშვილი, ბადრი კვიციანი
სტილისტები: ნათელა გიორგობანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ნათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუშაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალისხელი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფიფხაძე, თამარ ქიქელიძე, ზურაბ წერეთელი, ირაკლი შირაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზახის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია <http://www.sarbieli.com.ge>